ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა კომუნისტი

ხუთშაბათი, 8 მარტი, 1990 წ.
№ 28 (11514)

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანო

«АХАЛГАЗРДА КОМУНИСТИ» — ОРГАН ЦК ЛКСМ ГРУЗИИ

გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1921 წლის 13 აგვისტოს

ფასი 3 კაპ.

ჩვენი მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქუჩა № 14 (მთაწმინდის ბაღთან ახლოს) ტელეფონები: ინფორმაციისა — 93-97-31, წერილების განყოფილება — 93-38-52, სამდივნო — 93-31-56





ამირან არაბულის ფოტოეტიუდი

## მანქანა ქართულად „ლაპარაკობს"

წარმოება-დაწესებულებებში მთელი რიგი ორგანიზაციული და ტექნოლოგიური დოკუმენტების ქართულ ენაზე წარმოება დღესდღეობით ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა, რომელსაც, რაც შეიძლება, მოკლე დროში სჭირდება მიხედვა და გადაწყვეტა.

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას" მმართველ-გამომთვლელი მანქანების ქარხანაში ახალგაზრდა სპეციალისტების ელდარ მილდიანისა და გივი ბოსტოღანაშვილის თაოსნობით (ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების განყოფილება) შემუშავდა ქართული შრიფტი CM 1810 ტიპის გამომთვლელი მანქანისათვის. აქ დამუშავებულ გამოყენებითი პროგრამების პაკეტში, რომელიც გამიზნულია ტექნოლოგიური დოკუმენტაციის შესაქმნელად, სისტემასა და მომხმარებელს შორის დიალოგს ქართულად წარმოების შესაძლებლობა არსებობს. როგორც განყოფილების გამგემ ელდარ მილდიანმა განაცხადა, მათ შეუძლიათ და სურვილიც აქვთ, დაინტერესებულ ორგანიზაციებს ტექნოლოგიური დოკუმენტაციის ქართულ ენაზე გადაყვანაში დაეხმარონ.

გარდა ამისა, დღემდე მმართველ-გამომთვლელი მანქანების ქარხნის მიერ წარმოებული პროდუქციის ძირითადი ნაწილი საქართველოს გარეთ გადიოდა. ამჟამად მას საშუალება მიეცა CM 1810 ტიპის გამომთვლელი მანქანების გარკვეული რაოდენობა საკუთარი შეხედულებებისამებრ გაყიდოს. ქარხნის ადმინისტრაციის სურვილია, რომ ეს პროდუქცია გაიყიდოს საქართველოში. მით უფრო, რომ მანქანას საკმაოდ ფართო შესაძლებლობები აქვს. მის ბაზაზე დამუშავებულია სამი ტიპის ავტომატიზებული სამუშაო ადგილი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ავტომატიზებულად შემუშავდეს ნაკეთობათა და ცალკეული დეტალების კონსტრუქციები, დამზადების ტექნოლოგია, პროგრამები ჩარხებისათვის რიცხვითი პროგრამული მართვით. ყველა ეს ამოცანა შეიძლება გადაიჭრას უშუალოდ შემსრულებლის, ინჟინერ-ტექნოლოგის ან ინჟინერ-კონსტრუქტორის მიერ პროგრამისტის დახმარების გარეშე. იგი არ მოითხოვს პროგრამების რომელიმე ენის ცოდნას. საგულისხმოა ისიც, რომ CM 1810 ტიპის მანქანა დაკომპლექტებულია გარე მოწყობილობებით, გრაფამგებით, პლანშეტითა და პერფორატორით. მისი ფასიც არც ისე მაღალია — თხუთმეტი ათასიდან ოცდაათ ათას მანეთამდე.

ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების განყოფილების წევრებმა განაცხადეს, რომ შეუძლიათ უზრუნველყონ დამკვეთი ორგანიზაციები სათანადო პროგრამული და ტექნიკური საშუალებებით, დაუმონტაჟონ შეძენილი მოწყობილობა, გაუწიონ საავტორო მეთვალყურეობა, უზრუნველყონ სპეციალისტების მომზადება.

ასე რომ, საქართველოში არსებულ ნებისმიერ ორგანიზაციას შეუძლია მიმართოს გამომთვლელი მანქანების ქარხანას (მისამართი: თბილისი, ჯიქიას ქ. № 5.)

მარიკა ქევხიშვილი

საქართველოს ისტორიის ჰეროინები

„...ჯალათებმა ლურსმნის სარეცელი დაუგეს და ზედ გულაღმა დრეცეს იგი. თეთრი ხუდარა შემოაფხრიწეს. მკერდზე დაკიდული იხო მაცხოვრის ჯვარცმა ააგლიჯეს, საქართველოდან წამოღებული ერთი მუჭა ქართული მიწა, რომელსაც გულზე ატარებდა, ფეხქვეშ ჩაუშალეს. დედოფალი არ ტიროდა, არც კვნესოდა. მხოლოდ ლოცულობდა... ჯალათმა სისხლისფრად აელვარებული მარწუხი აიტაცა. მარცხენა ძუძუს ჩასჭიდა და მოგლიჯა. მერე მარჯვენა ძუძუს მისწვდა და ისიც განაშორა მკერდს... ბოლო სიტყვა „შვილო" ახსენა, არავინ იცის, ვინ გაახსენდა სიკვდილ-სიცოცხლის გასაყარზე საქართველოს დედას — თავისი შვილი — სვეგამწარებული თეიმურაზ მეფე, მისი გაუბედურებული შვილები თუ უპირველესი სალოცავი — საქართველო..."

ლევან სანიკიძე,
„დედა-ისტორია"

**„განაშიშვლეს წმინდაჲ იგი... განურხთეს ხელნი მისნი... და დააბლირჩნეს ტუჭუნი სანატრელისანი... მერმე მკლავნი დააგლიჯნეს... და ნაკუერცხალი აღგზნებული დააყარეს სისხლ-მწთოვარეთა მათ ხორცთა მისთა. მერმე მოიღეს ქუაბი განხურვებული და დაარქუეს წმინდასა თავსა მისსა"; — წერს ქეთევან დედოფლის წამების თვითმხილველი გრიგოლ ხუცესმონაზონი.**

# ქეთევანი

გრძნობადაკარგული დედოფალი მშვილდის საბლით მოაშთვეს ჯალათებმა, ხოლო მის წმინდა სხეულს კოცონიდან მუგუზლები დააყარეს. ქეთევანის დამწვარი, დასახიჩრებული და დარღვეული სხეული ღია ცის ქვეშ დააგდეს დაუსაფლავებელი. ეს საშინელება 1624 წლის 12 სექტემბერს დატრიალდა შირაზში.

რთულ პოლიტიკურ ვითარებაში მოუხდა ცხოვრება ქეთევან დედოფალს. მისი მოწამეობრივი აღსასრული გამოხატულებაა იმ დაუნდობელი ეპოქისა, იმ გაუთავებელი პოლიტიკური ინტრიგებისა, რაც საქართველოსა და ირანს შორის არსებობდა. საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ფურცელი 16-17 საუკუნეებზე მოდის. ამ პერიოდის საქართველო ირანისა და ოსმალეთის საბრძოლო ასპარეზად ქცეულა. 1587 წელს ირანის სამეფო ტახტზე შაჰ-აბას I ასვლით იწყება ირანის ისტორიის ახალი ეპოქა. ჭკვიანმა და დაუნდობელმა შაჰ-აბასმა შექმნა ირანის ცენტრალიზებული იმპერია და შეუდგა დაპყრობითი ომების განხორციელებას. თავის ლაშქრობებში მას თან ახლდა კახეთის მეფე ალექსანდრე II — ქეთევან დედოფლის მამამთილი. ამ პერიოდის კახეთის სამეფო ფაქტობრივად სამი დიდი სახელმწიფოს — ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის ვასალი გახდა. ამ გარემოებამ ერთხანს კახეთს მშვიდობიანობა შეუნარჩუნა, მაგრამ მალე სამეფო სახლისა და ქვეყნის ტრაგედიის ერთ-ერთი მიზეზი შეიქნა. რთული, მერყევი საგარეო პოლიტიკა ქვეყნის შინაპოლიტიკურ ვითარებაზეც მოქმედებდა. გაძლიერდა ბრძოლა ფეოდალებს შორის. ალექსანდრე II ყოველნაირად ცდილობდა ქვეყანაში მშვიდობიანობის შენარჩუნებას. იგი ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე და ბრწყინვალე პოლიტიკოსი იყო. XVI-XVII სს. ირანელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის აზრით, ალექსანდრე **„თავისი სწორი მხჭელობით და გამჭრიახობით უგამოჩინებულესი ადამიანი იყო ახალგაზრდათა და მოხუცთა შორის და ეშმაკობის და მოხერხების მხრივ ზებერი მგელი"**. მაგრამ, ეტყობა, ამ ჭკვიანმა პოლიტიკოსმა და დიპლომატმაც კი სათანადოდ ვერ შეაფასა შაჰ-აბასის სამხედრო და პოლიტიკური სიძლიერე. პარალელურად, ალექსანდრე ცდილობდა კარგი დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონოდა რუსეთის სახელმწიფოსთანაც. სწორედ ამის გამოხატულება იყო ერთგულებისა და ქვეშევრდომობის ფიცი, რომელიც დაიდო კახეთის სამეფოსა და რუსეთის სახელმწიფოს შორის 1587 წელს. ეს მფარველობა შემდეგში უნდა გამოხატულიყო: რუსეთს კახეთი ყველა მტრისაგან უნდა დაეცვა, რუსეთის მეფეს თერგზე ციხე უნდა აეგო, სადაც დიდი ჯარი უნდა ჩაეყენებინა და მთელი გზა, რომელიც თერგიდან კახეთამდე გადიოდა — დაღესტანზე გავლით, საკუთრად დაეჭირა. მაგრამ, მოგვიანებით თვალნათლივ გამოჩნდა, რომ რუსეთის მესვეურები თავისი სიტყვისაგან შორს იდგნენ, რეალური პოლიტიკური დახმარება კახეთისათვის მათ არ აღმოუჩენიათ. რუსეთთან დაახლოების გამო კი ალექსანდრე მეფე მეტად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა: ერთი მხრით, მას მოსკოვთან კავშირისა და ოსმალეთის „ორგულობისათვის" სულთანი ემუქრებოდა, მეორე მხრით, კი გაცოფებული ირანის შაჰიც „მოღალატედ" თვლიდა კახეთის მეფეს.

გაბოროტებული ირანის მბრძანებელი ყოველგვარ ხერხს მიმართავდა საქართველოს ხელში ჩასაგდებად. კახეთის სამეფო კარზე დატრიალებული ტრაგედიაც მისი მომზადებული და დადგმული იყო. ალექსანდრე კახთა მეფეს ხუთი ვაჟიშვილი და ერთი ქალი ჰყავდა: დავითი, ერეკლე, გიორგი, კონსტანტინე, როსტომ და ნესტანდარეჯანი. ერეკლე — თურქეთში იყო გადახვეწილი, დავითი და გიორგი თელავის სასახლის ტახტს ერთმანეთს ექიშპებოდნენ, ხოლო კონსტანტინე სიყრმიდანვე ირანში იყო მძევლად წაყვანილი და იქ იზრდებოდა გამაჰმადიანებული.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ 1601 წელს ალექსანდრე მეფეს მისმა შვილმა დავით ბატონიშვილმა — ქეთევანის მეუღლემ — სამეფო ნიშნების გამოგზავნა მოსთხოვა, ალექსანდრემ შვილს სამეფო დროშა, გვირგვინი, სარტყელი და ხმალი გამოუგზავნა, თვითონ კი მონაზვნად აღიკვეცა. მაგრამ, დავითის მეფობა დიდხანს არ გაგრძელებულა, უკეთურმა სენმა იგი 1602 წლის 21 ოქტომბერს სიცოცხლეს გამოასალმა. სამეფოს მართვას ისევ ალექსანდრე შეუდგა. მან ციხიდან გაანთავისუფლა დავითის წინააღმდეგ აჯანყებაში ეჭვმიტანილი გიორგი ბატონიშვილი, როგორც მისი ერთადერთი დასაყრდენი. კახეთის სამეფო კარზე შექმნილმა მდგომარეობამ ქეთევან დედოფლის და უფლისწული თეიმურაზის გარშემო ალექსანდრე მეფისა და გიორგი ბატონიშვილის მოწინააღმდეგე თავადებს მოუყარა თავი. მაზლის — გიორგის — ერთგულებაში კი ქეთევან დედოფალს ეჭვი ეპარებოდა, კანონის მიხედვითაც სამეფო ტახტი მის შვილს თეიმურაზს ეკუთვნოდა მამის სიკვდილის შემდეგ, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, ტახტი ისევ ალექსანდრემ დაიკავა და მეფედ გიორგი გამოაცხადა. ყველაფერ ამას შორიდან ფხიზლად ადევნებდა თვალ-ყურს შაჰ-აბასი. მან კარგად იცოდა, რომ კახეთის სამეფო ტახტზე ალექსანდრესა და გიორგის დარჩენით, მისი დაპყრობითი პოლიტიკა საქართველოში მარცხით დამთავრდებოდა, ვინაიდან ალექსანდრე მეფე და გიორგი ბატონიშვილი მოსკოვის მთავრობაზე დაყრდნობით ცდილობდნენ თავი დაეღწიათ ირანისა და ოსმალეთის ბატონობისაგან. მისთვის ცნობილი იყო რუსეთის ელჩთა სტუმრობაც კახეთში და მისი შედეგებიც (ერთგულების ფიცი). შაჰ-აბასს არც უფიქრია შერიგებოდა კახეთის სათავეში ამგვარი ორიენტაციის პიროვნებების ყოფნას. ტახტის ორივე მემკვიდრე სპარსეთს წაიყვანა: ელენე „ერთ-ერთ ცოლად", თეიმურაზი — „შვილად".

1605 წლის თებერვალში კი მან საქართველოში გამოისტუმრა თავისთან გაზრდილი და გამოწვრთნილი „ერთგული შვილი" გამაჰმადიანებული კონსტანტინე — მირზა, გამოისტუმრა და საიდუმლოდაც ბევრი რამ დაავალა. კონსტანტინე შირვანის დაპყრობის შემდეგ მისი მმართველი უნდა გამხდარიყო, ამ საქმეში მას მამამისი — ალექსანდრე მეფეც უნდა დახმარებოდა სათანადო ერთგულებით და თუ არ დაეხმარებოდა, კონსტანტინეს უნდა მოეკლა მამაც და ძმაც — გიორგი ბატონიშვილი. **„წადი და მოკალ მამა-შენი და-ძმა — შენი და კახეთიც შენ დაიჭირე"** — გადმოგვცემს შაჰ-აბასის სიტყვებს XVIII ს. ქართველი ისტორიკოსი ბერი ეგნატაშვილი. ერთი წუთითაც რომ ჩავფიქრდეთ, როგორი ამაზრზენი სურათია, მტერი, რომელიც გავიწროებს ფიზიკურად, გავიწროებს პოლიტიკურად, მორალურადაც გხრწნის, ამხედრებს შვილს — მამაზე, ძმას — ძმაზე ხელს აღებინებს, ბავშვობიდანვე მძევლებად მიჰყავს პატარა უფლისწულები, რათა შემდეგში გადაგვარებული და დამახინჯებული სულით, თავიანთ ჭკუაზე გამოზრდილები და გამოწვრთნილები სამშობლოს მოღალატეებად დაუბრუნოს.

12 მარტს ალექსანდრეს რუსთა ელჩები უნდა მიეღო თორღადან, აუდიენციის დაწყებამდე კონსტანტინე და მისი მხლებელი ყიზილბაში ამირებიც ეწვივნენ მეფის სადგომს. კონსტანტინე — მირზამ თათბირზე ძმაც იხმო — შირვანზე გალაშქრების მოლაპარაკების საბაბით. თათბირზე მწვავე კამათი გამართა კონსტანტინემ, ისქანდერ მუნშის გადმოცემით: მამა-შვილს **„შირვანზე გალაშქრების შესახებ დაუწყო ლაპარაკი და მკვახე სიტყვებით მიმართა მათ.** "კამათის დროს, კონსტანტინემ ჯერ ძმა, ხოლო შემდეგ მამა მოკლა. **„გაუწყრა ღმერთი კონსტანტინეს, ხწვალა მამაშვილობა, მამაც მოკლა და ძმაცა"** — აღშფოთებით წერს XVII ს. ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე.

ამ საშინელი ტრაგედიის შემდეგ საყოველთაო შეძრწუნებამ დაისადგურა კახეთში. კონსტანტინეს ბრძანებით, ალექსანდრე მეფისა და გიორგი ბატონიშვილის ცხედრები ალავერდის ტაძარში წაასვენეს, ხოლო მათი მოკვეთილი თავები შაჰ-აბასს გაუგზავნა საჩუქრად, როგორც მისმა ერთგულმა შვილმა, თვითონ კი მათ ხაზინას დაეპატრონა და თავი კახეთის მეფედ გამოაცხადა, მამისმკვლელი მთელ დანაშაულს თვითონ იბრალებდა, რათა ეჭვიც არავის მიეტანა შაჰ-აბასზე, თავგამოდებით უფრთხილდებოდა „მამობილის" სახელსა და ავტორიტეტს. ძველი ქართული და სომხური ისტორიული წყაროები ადასტურებენ, რომ ამ ტრაგედიის უკან შაჰ-აბასი იდგა. გამაჰმადიანებულ კონსტანტინეს ტახტზე ასვლა მთელი კახეთის ირანის სახანოდ გადაქცევას გამოიწვევდა, ეს კი მთელ ერს საფრთხეს უქმნიდა. კონსტანტინე-მირზა ოჯახის ღირსების შეურაცხყოფასაც არ დაერიდა. კაცი მიუგზავნა რძალს — ქვრივ ქეთევანს და მაჰმადიანთა წესისა და ჩვეულების მიხედვით ცოლობა სთხოვა, უარის შემთხვევაში იგი სიკვდილით დაემუქრა მას. პასუხად, დედოფალმა უარი შეუთვალა მაზლს და კახელებს აჯანყებისაკენ მოუწოდა, იგი პირადად ჩაუდგა სათავეში აჯანყებულებს, რომლებიც 22 ოქტომბერს ბელაქანის ველზე თავს დაესხნენ კონსტანტინეს და მოკლეს იგი. ასეთ რთულ ვითარებაში და კონსტანტინესთან ბრძოლაშიც ქეთევან დედოფალმა გამოამჟღავნა სულიერი სიმტკიცე, თავისი საქციელით ირგვლივ მყოფთ სანიმუშო მაგალითს აძლევდა. **„ხიმხნე მამაკაცებრივი აჩვენა"**, არ მიიღო მაზლის წინადადება, **„არამედ აღირჩია სიკვდილი, ვიდრეღა ბოროტისა მის კაცისა თანა შეერთება"**. — შენიშნავს ქეთევანის საქციელით აღფრთოვანებული გრიგოლ ხუცესმონაზონი — დოდორქელი.

ქეთევანის პიროვნულ თვისებებზე საუბრისას, უპრიანია თვალი გადავავლოთ მის ბიოგრაფიას — დაწყებულს ყმაწვილქალობიდან და დამთავრებულს მოწამეობრივი სიკვდილის კვარცხლბეკამდე.

ქეთევანი ქართლის ფეოდალის აშოთან მუხრან-ბატონის ასული იყო. ვახუშტის ცნობით, ეს აშოთან მუხრან-ბატონი დაიღუპა ფხოველებთან ბრძოლაში 1571 წელს. **„მიუხდენ ფხოველნი მუხრანს ხოლო აშოთან ძმან ბაგრატ მუხრან-ბატონისამან ბრძოლა უყო და მოსწყვიდნა იგინი და აოტნა. გარნა მოიკლა იგიცა მათ მიერ"** — ასე გადმოგვცემს „ქართლის ცხოვრება". ქეთევანი დაბადებულა 1575 წელს. თანამედროვეთა გადმოცემით, იგი სილამაზის, კეთილშობილების, სიკეთის, მამაცობის, სიდიადის განსახიერება იყო. გრიგოლ ხუცესმონაზონი-დოდორქელის ცნობით, ქეთევანი გარეგნულად ძალიან მომხიბლავი ქალი ყოფილა. **„იყო ესე ნეტარი ხილვითა ხატისაჲთა ფრიად შუენიერ და ბრწყინვიდა პირი მისი, ვითარცა მზე და ჰაეროვნება მისი დაჰფარვიდა პირსა ყოვლისა ქუეყანისა".** XVII ს. იტალიელი მისიონერის ქრისტეფორე კასტელის სიტყვით, მისი გარეგნობა **„თვით ანგელოზს შეშურდებოდა, ამასთანავე იგი სულიერად წმინდანივით ბრწყინავდა, იყო საოცარი მჭევრმეტყველი და არაჩვეულებრივი ნიჭის პატრონი".** სხვა ისტორიული წყაროებიც ასევე ახასიათებენ დედოფალს. ბერი ეგნატაშვილის სიტყვით, **„ქეთევანი იყო გონიერი".** სხვაგან აღნიშნულია **„ესე იყო ღვაწლმრავალი და სამგზის სანატრელი დედათა შორის ახოვანი დედოფალი და მოწამე ყოვლად ქებული ქეთევან."**

გრიგოლ ხუცესმონაზონი-დოდორქელი ქეთევანს ახასიათებდა, როგორც ყოველგვარი კეთილი საქმის მოქმედს, ქვრივთა და გლახაკთა ნუგეშისმცემელს: **„თვით დედოფალი ქეთევან იქმოდა, ვითარცა შუენოდა, ყოველსა კეთილსა საქმესა. ეკლესიათა შენებასა, ობოლთა შეწყნარებასა და ქვრივთა ნუგეშისცემასა, და გლახაკთა და დავრდომილთა ხელის აღპყრობასა და თვით პატივითა მით სამეფოთა იყოფოდა".**

1589 წელს ქეთევანი 14 წლის გაათხოვეს დავით ბატონიშვილზე. თეიმურაზი — ქეთევანის უფროსი შვილი იყო, ხოლო ბაგრატი და ელენე მისი მომდევნოები ყოფილან. მხოლოდ 13 წელი დასცალდა ქეთევანს მეუღლესთან ერთად ცხოვრება.

კონსტანტინე-მირზას სიკვდილის შემდეგ, ფაქტობრივად კახეთის სამეფო ტახტზე ქეთევანი რჩება და სწორედ ამ დროს, შაჰ-აბასი კახეთში ისტუმრებს თავისთან მყოფ უფლისწულ თეიმურაზს, რომელიც „შვილად" ჰყავდა სასახლეში. ქეთევან დედოფალი სიხარულით შეეგება კახეთის მეფედ წარმოგზავნილ შვილს. 1606 წელს უფლისწული თეიმურაზი ბოდბეში აკურთხეს მეფედ. იგი ნომინალურად ირიცხებოდა ტახტის მფლობელად, ქვეყანას ფაქტობრივად მართავდა ქეთევანი. მაგრამ, მშვიდობიანობა დიდხანს არ გაგრძელებულა კახეთში. 1613 წელს ოქტომბერში შაჰ-აბასმა დაიწყო დიდი ლაშქრობა საქართველოს წინააღმდეგ მისი სრული დაპყრობის მიზნით. იგი შეიჭრა ყარაბახის პროვინციაში და კახეთის მეფეს თეიმურაზს გაუგზავნა შიკრიკები მოთხოვნით: ნიშნად ერთგულებისა მიეცა მძევლები შაჰისათვის. მეფემ, თავადების რჩევით, შაჰ-აბასს გაუგზავნა თავისი დედა — ქეთევან დედოფალი და უმცროსი შვილი — ალექსანდრე. შაჰი ამითაც არ დაკმაყოფილდა და უფროსი შვილი — ლევანიც მძევლად წაიყვანა.

სპარსეთში დიდხანს იტანჯებოდა ტყვეობაში მყოფი ქეთევან დედო-

(დასასრული მე-7 გვ.)

**მთელს ქართველ ერს,**
**რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს,**
**უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს,**
**ბატონებს: გივი გუმბარიძეს**
**აკაკი ბაქრაძეს**
**ზვიად გამსახურდიას**
**ნოდარ ნათაძეს**
**ირაკლი წერეთელს**
**გია ჭანტურიას**
**ირაკლი შენგელაიას**
**ირაკლი კაკაბაძეს**

სოლიდარობას ვუცხადებთ რა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მთელი პასუხისმგებლობის გრძნობით აღვნიშნავთ, რომ ჩვენი სამშობლოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, ჭეშმარიტი თავისუფლება ყოვლად წარმოუდგენელია ჩვენი საზოგადოების შემდგომი ჰუმანიზაციის გარეშე. ამ მხრივ საჭიროა რადიკალური ზომების მიღება რესპუბლიკის სოცუზრუნველყოფისა და ჯანდაცვის სისტემების კარდინალური გარდაქმნის მიზნით, რაც უმოკლეს ვადაში გააუმჯობესებს საქართველოში მცხოვრები 200 ათასამდე ინვალიდის საყოფაცხოვრებო პირობებსა და ჯანმრთელობის მდგომარეობას.

## საქართველოს ინვალიდთა, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ინვალიდთა ასოციაციის (ღვთის შვილთა კავშირის) წევრთა და საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების

# საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართვა

საქართველოში ინვალიდები ოდითგანვე ღვთის შვილებად ითვლებოდნენ და თუკი მათ ხმას ყურს არ დავუგდებთ, ვერ შევასრულებთ უზენაესის ნებას, ბედისაგან დაჩაგრულის სიყვარულსა და თანადგომას რომ გვავალებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენ 6 მარტს დავიწყეთ ინვალიდთა საერთო რესპუბლიკური საპროტესტო აქცია, მოვითხოვთ:

1. მიღებულ იქნას საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ინვალიდთა ასოციაციის შესახებ. ამ დადგენილების პროექტი უკვე ორი თვეა, რაც გაიხლართა ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სისტემის ლაბირინთებში. ამასთან, უკვე იგრძნობა ამ დადგენილების მიღების მოწინააღმდეგეთა ხრიკები. ეს წინააღმდეგობა განპირობებულია რესპუბლიკის სოცუზრუნველყოფის სფეროებში მკვიდრად მოკალათებული ანტიეროვნული და მაფიოზური ჯგუფების არსებობით.

2. ინვალიდთა ასოციაციას გადაეცეს რესპუბლიკის სოცუზრუნველყოფის სამინისტროს ფუნქციები ინვალიდთა დარგში შესაბამისი სახსრებითა და ფინანსებით.

3. შეიქმნას სპეციალური საპარლამენტო კომისია რესპუბლიკის სოცუზრუნველყოფისა და ჯანდაცვის სისტემებში არსებულ ნაკლოვანებათა შესასწავლად, აგრეთვე, 9 აპრილის ინვალიდთა საყოფაცხოვრებო პირობებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსარკვევად;

4. სასულიერო პირებს მიეცეთ უფლება, ინვალიდთა სკოლა-ინტერნატებსა თუ სახლებში ჩაატარონ ღვთისმსახურება და სხვა რელიგიური ღონისძიებანი.

5. გამოცხადდეს იმ ინვალიდ პატიმართა ამნისტია, რომელთა განთავისუფლება სხვადასხვა შემამსუბუქებელ გარემოებათა (ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა, ორზე მეტი შვილის, ანდა ხანდაზმულ მშობელთა ყოლა, მცირე დანაშაული) გამო შესაძლებელია.

6. ინვალიდთა ასოციაციას, საქართველოს კომკავშირის ლიკვიდაციის შემდეგ, გადაეცეს ალკკ ამჟამინდელი შენობის პირველი სართული, ხოლო დანარჩენი სართულები საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციებს;

7. მოწვეულ იქნას რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესია, რომელმაც სხვა საერთოეროვნულ პრობლემათა განხილვასთან ერთად, უნდა შეიტანოს შესწორებანი ახლანდელ რესპუბლიკურ საარჩევნო კანონში, რაც გულისხმობს ინვალიდთა ასოციაციისათვის სამი დამატებითი ადგილის გამოყოფას რესპუბლიკის მომავალ პარლამენტში;

8. ინვალიდთა შვილები თუ უახლოესი ნათესავები განთავისუფლდნენ სამხედრო სამსახურისაგან.

ქართველი ერის გამოჩენილო შვილებო!

საქართველოს ხელისუფალნო!

ღვთის შვილებს იმედი აქვთ თქვენი თანადგომისა...

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

ჩვენთან არს ღმერთი!

# მოდიოდა... სოფელი

„აბრაამის ისტორიიდან ირკვევა, რომ სამშობლო იწყება არა მაშინ, როცა ადამიანი იბადება, არამედ როცა კვდება... სამშობლოს განცდა საფლავით იწყება".

„ვინც უარს ამბობს წინაპართა საფლავზე, მას აღარ ეკუთვნის ეს ქვეყანა"...

ზურაბ კიკნაძე.
„საუბრები ბიბლიაზე"...



დღესაც კი, როცა ბოლოს და ბოლოს, ასე აღშფოთებულნი ვართ ენგურჰესის თუ სხვა გიგანტური ჰესების აშენების გამო, არავინ უწყის რომელი უფრო დიდი შეცდომაა: ულვთოდ დარღვეული ეკოლოგიური წონასწორობა თუ დატბორილი ტყეები და სახნავ-სათესები, მამა-პაპათა სამკვიდრებელთან აყრილი ოჯახები თუ დანგრეული სალოცავები, გულგამოფატრული მთები თუ... წყალში ჩარჩენილი საფლავები... დიახ, ამგვარი საშინელებაც მოხდა: წინაპართა ნეშტის გადასვენებაზე ყველამ არ იზრუნა და მერე ისინი „გალის ტბის" ქვეშ აღმოჩნდნენ.

ამ ეტიუდშიც ეს მწარე სიმართლე და მასთან დაკავშირებული ფანტაზია ერთმანეთშია არეული, დაე, მკითხველმა ისინი ერთმანეთისგან თვითონ გამიჯნოს...

არავინ ჰკიოდა, არც ეკლესიის ზარები მრისხანებდნენ, სიჩუმე იყო სოფელში და ხალხი კი მაინც გარბოდა სადღაც შემკრთალი და შეფერმკრთალებული.

გმინვა მოესმათ სოფლის ბოლოდან, მოგუდული, დახშული, მიწამ მოიტანა და ტერფიდან ყურებამდე აუარათ.

— საიდან არის, საიდან ისმის ხმა ტანჯული? — იკითხა ერთმა.

— ნასაყდრალის მხრიდან, — თქვა ვილაცამ და სოფელს არც უფიქრია, ისე მიჰყვა.

მიწა კი გმინავს. პირველი შემთხვევაა, ხმა მოგუდული, დახშული ყურებამდე ყველაზე ბოლოს აღწევს. ჯერ ტერფებს ესმით, მერე მუხლებს, ზევით ზევით ადის, აგერ მკერდთან გმინავს რაღაცა, სულის შემხუთველად სულის შემკვრელად, აი, ახლა მიახრჩობს, გაგუდავს და ამ დროს ჩნდება საშველი: ხმა მოგუდული, დახშული ყურებიდან გამოდის და ესმით, — გმინავს ვილაცა სადღაც აქ, გულთან და მიწასთან ახლოს.

— საიდან არის? — გუგუნებს სოფელი და გარბის ნასაყდრალისკენ...

... არც არვინ და არც არაფერი. შემაწუხებელი მდუმარებაა მხოლოდ. დანგრეული პაპიჭონის ეკლესიის კედლები წყალსა და მეწყერს კიდევ უფრო ჩაუტანია „გალის ზღვაში", კიდევ უფრო ჩაუტანია მიწაში. ტალახში აღრეულ ქვებს შორის საფლავებიდან გამოფანტული თავის ქალები და ძვლები ყრია. ვინ იცის, ვისი ან როდინდელი.

და დგას სოფელი ნასაყდრალისა და ნასაფლავარის წინ შემკრთალი და შეფერმკრთალებული...

მიწა კი გმინავს კვლავაც და ადამიანებს სიცოცხლეში პირველად ყურებიდან კი არ ტერფებიბიდან ესმით.

— საიდან არის? — ისევ ვერ ისვენებს ვილაც.

— ჩხაპელიების ნამოსახლარის მხრიდან, — ასკვნის მეორე. და ხალხი ახლა უკანმოუხედავად სოფლის მეორე ბოლოსაკენ გარბის.

არც არავინ და არც არაფერი...

სულის შემძვრელი მდუმარება ისევ. სახურავ ჩანგრეული, მინებშემსხვრეული ფიცრული სახლი, სარეველამოდებული ეზო, რაზაგადაწეული ჭიშკარი და ხეებს შესეული საქონელი, მეტი არაფერი.

მიწა კი ისევ გმინავს, ვილაცის გმინვა მოაქვს თითქოს...

სიბნელე ჩამოწვა. სოფელი კი ხან ერთი ბოლოსკენ გარბის, და ხან მეორესკენ.

— კაცი არა ჩანს და ვინ უნდა გმინავდესო, — ასე ჰგონია სოფელს, ასე ჰგონია მარტო დღეს კი არა, დასაბამიდან და ეწამება თავისი მიუხვედრელობის გამო.

მშიერ-მწყურვალ, ნაგვემ სოფელს ძილ-ბურანში ჩაესმა თითქოს: ჩხაპელიები და გოგოხიები, არონიები და ფიფიები მოდიანო.

გმინვამ არ დააყენა ენგურჰესისგან გასახლებულები და სხვადასხვა სოფლებში გაფანტულები თურმე გზაში ერთმანეთს გადაყროდნენ და მოდიოდნენ.

— სიზმრებმა და ხილვებმა გაგვტანჯეს, ჩვენი მკვდრები წყალში დაცურავენ, მიწაზე დახოხავენ, მათი ტანჯვის შემყურენი ჩვენ უარესად ვიტანჯებითო.

არდიებს წყალში ჩარჩენილი მამა-პაპის საფლავები გახსენებოდათ და წყლის ნაპირზე თვითგვემაში ატარებდნენ დღეებს.

და მოხდა სასწაული: მთელი საარდიო წყალში გადაეშვა.

... დიდხანს ეძებდნენ საფლავის ქვებს. რამდენიმე დღე წყალში ცხოვრობდნენ, ჩაყვინთავდნენ და ნაჯახსა და ნიჩაბს, ბარსა და წერაქვს წყლით გაჟღენთილ მიწას ურტყამდნენ.

და... ერთ დღესაც იდაყვის ძვალი ამოტივტივდა, მერე წვივის ძვალი... ისინი აგროვებდნენ და ხნოს ტყავებში ჰხვევდნენ.

მოდიოდა სოფელი, მოლასლასებდა, წმინდა ნაწილებს მოატარებდა და გმინვა აღარ ესმოდა უკვე ტერფიდან. ტერფიდან აღარ, მაგრამ ყურებიდან ესმოდათ გმინვა ერთმანეთისა...

**ნატო კორსანტია**

# რამ გააძლებინათ

## 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის ექო

„როდესაც სასაფლაოზე მიხდება წასვლა, ხანდახან აქა-იქ წავაწყდები ხოლმე წარწერას — „გარდაიცვალა 1956 წლის 9 მარტს". იმწამსვე ძველი იარა დამიწყებს ხოლმე ტკივილს, რადგან კარგად მახსოვს ის ავბედითი დღე. მაშინაც ხომ უმთავრესად ახალგაზრდობა დაიღუპა", — 1989 წლის 19 მაისის „კომუნისტში" გამოქვეყნებულ ჯიმშერ მუჯირის ამ სიტყვებით მსურს დავიწყო ჩემი წერილი, რომელსაც ვუძღვნი იმ უბედურ დედებს, რომელთაც იმ საბედისწერო 1956 წლის 9 მარტს დაღუპული თავიანთი უმანკო შვილები ვერც კი დაიტირეს, ვერ მოესიყვარულნენ უკანასკნელად, ვერ იჯერეს გული მათი ცქერით, ზოგიერთმა მკვდარი შვილი ვერც კი ნახა — თავდახურული და დაბეჭდილი კუბოები მალულად, საიდუმლოდ წაიღეს სასაფლაოებზე და ჭირისუფლებმაც ქურდულად გააცილეს უკანასკნელ გზაზე ძვირფასი ცხედრები.

ჭირისუფალთა შორის ყველაზე „ბედნიერი" ის იყო, ვისაც უფლება მისცეს სასაფლაოზე, სამარეში ჩასვენების წინ მაინც დაეხედა თავისი მიცვალებულისათვის.

ასეთი „ბედნიერი" აღმოჩნდა დეიდაჩემიც — ელიკო ზაუტაშვილი-თოფურიასი, რომელმაც სასოებით და ტანჯვით გაზრდილი თავისი უფროსი ვაჟიშვილი თემურ თოფურია ვაკის სასაფლაოზე მიაბარა მიწას. ჭკვიანი, კეთილშობილი, ყველას მოსიყვარული ჭაბუკი ბრმა ტყვიის მსხვერპლი გახდა, გამწარებული დედა კი იმასლა ტიროდა — შვილო, ნეტავ უწესო, ქურდი, ბანდიტი ყოფილიყავი ციხეში იქნებოდი და გადამირჩებოდიო!

დეიდაჩემის მეუღლე — ვლადიმერ (ლადიკო) თეიმურაზის ძე თოფურიაც 1937 წლის განუკითხაობას შეეწირა. ლამაზი და ამაყი ვაჟკაცი იყო ლადიკო თოფურია, მაგრამ წუთისოფლის სიმუხთლეს ვერც ის გაექცა.

დაპატიმრებამდე ლადიკო თოფურია ხე-ტყის სახერხი ქარხნის დირექტორად მუშაობდა, მალე ნარკომად დაწინაურებასაც უპირებდნენ და აი, აქ გაჩნდა შური... ამას ისიც დაემატა, რომ ოჯახს ახალი ბინა ჰქონდა, უკვე მოწყობილი და დღედღეზე უნდა გადასულიყვნენ. ის ბინა მის ცოლ-შვილს თვალითაც აღარ უნახავს... ქმრის დაპატიმრების შემდეგ დეიდასაც უპირებდნენ გადასახლებას ტაშკენტში ან სამივე შვილით უნდა წასულიყო, ან ბავშვთა სახლში ჩაებარებინა ისინი, მაგრამ გადარჩნენ... დიდი ტანჯვის შემდეგ მოსკოვიდან იმის ნებართვაც მიიღეს, რომ ძველ ბინაში მაინც დაეტოვებინათ. ესეც დიდი ბედნიერება იყო იმ დროს...

გაუბედურებულ ოჯახს ნათესავები ეხმარებოდნენ, მაგრამ შეშინებულნი მალულად თუ მიაწვდიდნენ რამეს, დეიდასთვის ყველაზე დიდი იმედი თავისი და დარიკო იყო, ისიც მასავით გაუბედურებული — 1937 წლის რეპრესიებს ემსხვერპლა მისი ქმარი მუხრან ჩახაიაც. დები წელებზე ფეხს იდგამდნენ, რომ ბავშვები ერჩინათ.

ეს კიდევ არაფერი — საბუთების მიხედვით ლადიკო თოფურია 1937 წლის 2 ივნისს დააპატიმრეს და გარდაიცვალა 10 ივლისს ე. ი. ერთ თვეში — იმ გაჭირვების ჟამს კი დეიდა ლუკმაპურს აკლებდა შვილებს და მთელი სამი წლის განმავლობაში ფულს და ამანათს აწვდიდა ქმარს.... კიდევ ერთი ცინიზმი: რეაბილიტაციის შემდეგ (1958 წ.) დეიდამ ცნობა მიიღო, თითქოს ლადო გარდაიცვალა, მაგრამ ეს ტყუილი იყო, ის მოკლეს!

დეიდა 29 წლის დაქვრივდა. უსახლკაროდ დარჩენილ დიასახლისს სამი მცირეწლოვანი შვილი დარჩა: უფროსი — ცისანა — 7 წლის, თემური — 5-ის, უმცროსი მალხაზი კი — 40 დღის.

საწყალი ქალი არანაირ შრომას არ თაკილობდა. მან პირნათლად შეასრულა დედური ვალი. წესიერი შვილები გაზარდა, ასწავლა, გზაზე დააყენა. ქალიშვილი ფარმაცევტი გახდა, გათხოვდა. თემურმა შვიდწლედის დამთავრების შემდეგ როსტოვის ოლქში, სუვოროვის სახელობის სკოლაში განაგრძო სწავლა, მაგრამ მეორე თუ მესამე კურსზე იყო, რომ აქაც უწია ბოროტმა თვალმა, ვილაცამ დააბეზღა „მავნებლის" შვილიაო და გულნატკენი ბიჭი უკან დაბრუნდა. დედას ასე უთხრეს— თქვენს შვილს აქ სწავლის უფლება არა აქვსო, გამწარებული ქალი ტიროდა — რისიც მეშინოდა, არ ამცდაო!

თემური შემდეგ ჯარში გაიწვიეს, ბათუმში მსახურობდა. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ საბუთები მოაგროვა და უმაღლესში აპირებდა ჩაბარებას. სწორედ ეს საბუთები და 5 მანეთი აღმოაჩნდა ჯიბეში, როცა მოკლეს!

უბედური ქალის თავზე წისქვილი არ დატრიალებულა, თორემ სხვა ყველაფერი ნახა. ახლაც, ამ უდიდესი მწუხარების ჟამს, სხვაზე მაგრად იყო, მრავალგზის შეშინებული ისევე დანარჩენ შვილებს უფრთხილდებოდა. ყველაფერს უსიტყვოდ ითმენდა, ოღონდ შვილის დამარხვის უფლება მიეცათ, ქმრის რეაბილიტაციის ცნობა ჯერ ხომ არ ჰქონდა!..

თემურის და — ცისანა — იგონებს: „ისეთი გრძნობა მქონდა თითქოს მკვდარ ძმასაც წამართმევდნენ და როცა თქვეს, დასაფლავების ფულიაო გადასახდელი, არავის დავანებე, სასწრაფოდ გადავიხადე, საფლავის პირასაც თითქოს ვჩქარობდი საცოდავი თემურის ჩასვენებას, ვშიშობდი, რამე არ მომხდარიყო და უკან არ წაეყვანათ.

ჰო, დაშინებულები იყვნენ... და კვლავ ცინიზმი — ჯერ მოუკლეს შვილები და შემდეგ დასაფლავების ფულიც გადაახდევინეს (301 მანეთი).

გამწარებული მშობლები სხვადასხვა ინსტანციებში გზავნიდნენ წერილებს, კითხულობდნენ „რატომ მოუკლეს შვილები", მაგრამ ამაოდ! დეიდა კი იმედს არ კარგავდა, რომ 9 მარტს დახოცილი ბავშვების გახსენებისა და დაფასების დროც დადგებოდა, მის გვერდით სხვა დედებიც იდგნენ.

26 მაისის „ლიტერატურულ საქართველოში" ბელა წვერაძე წერდა — „მე ვიცნობდი კიაზო ჰანტურიძეს". მინდა ბელას შევეხმიანო: — მე ვიცნობდი კიაზოს, ოღონდ პირადად კი არა — ფოტოსურათით. დეიდაჩემის ალბომში საბრალო თემურის სურათის გვერდით მრავალი სურათია, მათ შორის დედისერთა კიაზო ჰანტურიძისაც.

ვიცნობდი მათ, ვიცნობდი მათს გაუბედურებულ დედებს, რომლებიც საერთო ჭირს დაემეგობრებინა და გულს იმითლა იჯერებდნენ, რომ ერთად დადიოდნენ სასაფლაოზე შვილების დაბადებისა თუ გარდაცვალების დღეებში.

9 მარტს გარდაცვლილები ყველას შვილები იყვნენ, ყველანი კი თითოეულის დედა!

ქალბატონ სონია მერაბიშვილის, შანიძის, ლოლუას და სხვათა გარდა განსაკუთრებით დამამახსოვრდა იუზა წერეთლის დედა. იგი, როგორც წესი, თავისი შვილის ნაცვლად ყოველ წელს ულოცავდა დაბადების დღეს თემურს.

აი, ერთი მათგანი: „თემურის, გილოცავ დაბადების 33 წელს, 1965 წელი ყოფილიყოს ჩვენი გამარჯვების წელი. 4/I-65 წ. იუზა".

აი, კიდევ: „თემურის, გილოცავ დაბადებიდან 32 წ. გისურვებ გამარჯვებას. იუზა 4/I-64 წ."

რა გამარჯვებას უსურვებდა იუზა თემურს? — იქნებ იმას, რომ მათი უმანკო სისხლი ტყუილუბრალოდ არ დაღვრილა?!

გჯეროდეთ ჩვენო ძვირფასებო: იუზა, თემურ, კიაზო, რაულ, ოთარ, თამუნა, ნათია, მზია, რომ თქვენს მიერ 9 მარტს და 9 აპრილს დანთხეული სისხლი უბრალოდ არ ჩაივლის და თქვენს ქვეყანასაც ეშველება!

**იზა ზაალიშვილი,**
**გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს რედაქტორი.**

**ავტორის თხოვნით წერილის ჰონორარი გადაირიცხება 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალის ფონდში.**

## დემოგრაფია

# 3 + 2



**პატარა ბაჩანა ოშხერელმა ჯერ არც იცის თუ რა ბედნიერება ეწვია მას ამ დღეებში. საქმე ისაა, რომ ბაჩანა ჯერ მხოლოდ წლისა და სამი თვისაა, მაგრამ ამ დიდ ბედნიერებას კარგად გრძნობენ მისი ახალგაზრდა მშობლები — 28 წლის მამუკა ოშხერელი და 24 წლის ინდირა მახარობლიძე, რომელთაც ამას წინათ ტყუპი ვაჟი — გიორგი და ლაშა შეეძინათ და საქართველოს სამ ვაჟკაცს უზრდიან.**

**იზარდონ!**

ლაშა გაბინაშვილი და მისი მეუღლე ქეთინო ჯერ მხოლოდ ოცი წლისანი არიან, მაგრამ ორი შვილი ჰყავთ, ორივე გოგონა. უფროსი — ანუკა, უმცროსი — ცაცია.

ცამეტი წლისანი იყვნენ, ერთმანეთი რომ გაიცნეს. სამი წლის შემდეგ კი იქორწინეს. სვეტიცხოველში დაიწერეს ჯვარი, მაგრამ ჩვენი კანონმდებლობის ამბავი ხომ იცით, აბა, მაშინ ხელს ვინ მოაწერინებდა? ეს მხოლოდ გასულ წელს მოხერხდა.

ლაშა გაბინაშვილმა წარმატებით დაამთავრა თბილისის მესამე სამედიცინო სასწავლებელი და ფერშლად მუშაობს თბილისის სასწრაფო დახმარების მეხუთე ფილიალში. იგი სამსახურში გამოირჩევა თავაზიანობით, პაციენტების მიმართ გულისხმიერებით. ახლა სამედიცინო ინსტიტუტისთვის ემზადება.

თავისუფალი დრო თუ აქვს და როგორ ატარებ მას?

— დრო ყოველთვის გამოიძებნება, მე მას ბავშვებთან ვატარებ. მხატვრულ ლიტერატურასაც ვკითხულობ. ქართველ მწერლებში განსაკუთრებით მიყვარს გურამ დოჩანაშვილი. ისე, ფეხბურთიც მიყვარს და თუ იმ დღეს არ ვმუშაობ, ყოველთვის ვესწრები თბილისის „დინამოს" თამაშებს. შარშანდელ ჩემპიონატში მე და ჩემი ამხანაგი თბილისის „დინამოს" დნეპროპეტროვსკშიც გავყევით.

— ხომ არ ნანობ ცოლის ადრე შერთვას?

— რა თქმა უნდა არა, რადგანაც კარგი მეუღლე მყავს.

ქეთინო სწავლობს თბილისის პოლიტექნიკურ ტექნიკუმში ქიმია-კერამიკის ფაკულტეტზე.

თვრამეტი წლისა რომ შესრულდა ლაშა, ლენინის რაიონის სამხედრო კომისარიატში გამოიძახეს და ჯარში გაგზავნა დაუპირეს. თან ამხანაგი ახლდა. იმ ამხანაგს წამოსცდა, რომ ლაშა ორი შვილის მამაა. კომისარმა ჯერ ეჭვის თვალით შეხედა, შემდეგ პასპორტი მოსთხოვა და როცა ნახა, რომ მართლაც ორი ბავშვი ჰყავდა ჩაწერილი, ხელები მაღლა აღაპყრო, „თავისუფალი ხარო" უთხრა და ბედნიერება უსურვა. ჩვენ კი დავუმატებდით, რომ გამრავლებულიყოს ამისთანა ოჯახები. მათთვის მიებაძოს მრავალ ქართველ ახალგაზრდას...

**მზია მეგალიშვილი**

„ახალგაზრდა კომუნისტის"

# ილიკო & ილარიონი

სატირისა და იუმორის კლუბი

# მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!

თებერვალში საქართველოს დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაციის დაარსებამ ისეთი უკიდეგანო აღფრთოვანება გამოიწვია ხალხში, რომ წუთითაც არავის გახსენებია, გულთან ახლოს მიეტანა ყოფილ ფეხბურთელთა შეხედულება ამ საკითხზე.

რაკი საზოგადოების ფართო ფენებში ვერ ჰპოვეს სათანადო თანაგრძნობა, ვეტერანებმა თავად გაახსენეს გულშემატკივრებს თავი და შეადგინეს ვრცელი პეტიცია 48 კაცის ხელმოწერით. პეტიცია უმართებულოდ მიიჩნევდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გამოყოფას საკავშირო დაქვემდებარებიდან.

რაოგ გონივრული და წინდახედული იყო ეს ნაბიჯი! განა აგრე ადვილად შეეძლოთ უარის თქმა საკავშირო მეურვეობაზე, რომლის ბრძნული ხელმძღვანელობის ქვეშ ათეული წლების განმავლობაში ხრულყოფდნენ ისინი თავიანთ გამოცდილებასა და ოსტატობას?

განა მათდამი მზრუნველობით არ იყო ნაკარნახევი, როცა ალჟირიან გაზაფხულზე, ყინულიან მოედნებს და ცივ ჰავას რომ არ ვენო სამხრეთელთა ჯანმრთელობისათვის, მანეჟები მოიგონეს და თბილსა და მუდმივ სპორტულ დარბაზებში ათამაშებდნენ? განა მათივე სიკეთისათვის არ ხდებოდა, დამთმობი და ლიბერალი მსაჯების ნაცვლად, მომთხოვნსა და მკაცრ მსაჯებს რომ უნიშნავდნენ ლატიშევის, ცაპოვეცკის და სტუპარის სახით? განა ამ ყურადღების გამოხატულებად არ უნდა მიგვეღოთ ის ფაქტიც, შორ მანძილზე ფრენას რომ არ დაეღალა და უცხო გარემოს არ დაეცადა, მსოფლიო ნაკრებს რომ არ დაუთმეს მიხეილ მესხი? ან ბურჟუაზიული ქვეყნის მწვრთნელებს ცუდად თვალი რომ არ დაედგათ, განა იმიტომ არ ჰყავდათ წლიდან წლამდე საკავშირო ნაკრების სათადარიგოთა შორის კოტრიკაძე, ბარქაია, ყიფიანი?.. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ?

ამიტომაც, ვეტერანებს ხელი და მცდელობა არ დაუკლიათ, რათა წინ აღდგომოდნენ სეპარატულ გადაწყვეტილებას, მაგრამ როდესაც საბოლოოდ იქნა მათი შეხედულებები უგულებელყოფილი, საკავშირო ფედერაციიდან გამოყოფა ტელეეკრანიდან ერთად მოგვისამძიმრეს: ვეტერანმა ფეხბურთელმა, მწვრთნელმა, გულშემატკივართა კლუბის პრეზიდენტმა და ფეხბურთის კომენტატორმა. გასაგებია, რომ ყოფილი ფეხბურთელისათვის და მწვრთნელისათვის ძნელი იყო შეელეოდნენ საკავშირო წოდებებსა და რეგალიებს, გულშემატკივართა კლუბის ხელმძღვანელისათვის — საბჭოთა ტურისტთა რიგებში ჩადგომის შესაძლებლობას უახლოეს მსოფლიო ჩემპიონატზე, ხოლო ტელეკომენტატორისათვის — დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმულ ვეებერთელა სახელმწიფოსათვის გადაცემულ რეპორტაჟებს! მოდა, ყოველივე ამის შემდეგ განა სამართლიანი იქნებოდა, არ გვეთანაგრძნო ჩვენებური ფეხბურთის მესვეურთათვის?

უფრო მეტიც, არათუ უნდა ვუთანაგრძნოთ მხოლოდ, საჭიროა ის ფაქტიც გავითვალისწინოთ, რომ ჩვენს ვეტერანებს დაჟინებით არ სურთ საკავშირო ჩემპიონატიდან თბილისის „დინამოს" გამოთიშვა და ამიტომ ყური უნდა ვათხოვოთ იმ ადამიანთა თხოვნას, ვინც შექმნა გუნდის ისტორია და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ თბილისის „დინამოს" მონაწილეობა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რადგან საკავშირო ჩემპიონატი ჩვენთვის გარეშე მოვლენად იქცა, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებრივი სპორტული ორგანიზაცია — ყოფილ მნედ, მათთან ერთად უნდა გაუქმდეს თვით თბილისის „დინამოც"! გუნდის წარსულის დამსახურებათა ნიშნად კი გადავცეთ მას სამუზეუმოდ „დინამოს" სტადიონის გვერდით არსებული შენობა, რომლის კარებზეც შესრულებული იქნება წარწერა: „თბილისის „დინამოს" მუზეუმი. 1923-1990 წ.წ."

ხოლო დღეიდან, თავისუფალი საქართველოს კარიბჭესთან, უნდა დავიწყოთ ქართული ფეხბურთის ახალი ისტორია! დამოუკიდებელი საქართველოს სუვერენულმა უფლებებმა ფეხბურთიდანაც შეიძლება აიღოს სათავე! ამიტომაც, საქართველოს ჩემპიონატს თბილისის გუნდიც შესაფერი უნდა შევურჩიოთ. თუმცა, რატომ გუნდი? გუნდები! თბილისში სულ მცირე, ორი გუნდი მაინც უნდა იყოს, ვთქვათ: „იბერია" და „ამირანი". თუ მთელი გლაზგო ორი გუნდის: „გლაზგო რეინჯერსის" და „სელტიკის" გულშემატკივრებად არის დაყოფილი: კათოლიკეებითა და პროტესტანტებით, რატომ ჩვენშიაც არ შეიძლება მომავალში გაჩნდნენ გულშემატკივრები სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, ვთქვათ: მტკვარგაღმელები და მტკვარგამოღმელები; სტუდენტები და პროფესიული კავშირების წარმომადგენლები; კონსერვატორები, მონარქისტები და ლეიბორისტები, რესპუბლიკელები — ისე, რომ მხოლოდ სხვადასხვა ქალაქებს შორის კი არ იყოს მეტოქეობა, თვით თბილისშიაც გაჩნდეს გუნდებს შორის კონკურენცია! გულშემატკივარსაც ადრინდელთან შედარებით ახალი საზრუნავი გაუჩნდება: მარტო მატჩის შედეგებით კი აღარ დაინტერესდებიან, საქართველოს ნაკრებისათვის შესაფერის წევრების ძიებაშიც იქნებიან დღენიადაგ ჩაბმულნი!

მერე კი აღარ გვალოდინებს ის დღეც, როცა ფიფა თავის შემადგენლობაში მიიღებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და ვინ იცის, 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატშიც მოუწიოს გამოსვლა საქართველოს ნაკრებს ამერიკის შეერთებულ შტატებში! და კოტე მახარაძეც უკვე სხვათა ენას კი აღარ ემსახურება, მშობლიურ, ქართულ ენაზე წაიყვანს რეპორტაჟს:

— ყურადღება, ყურადღება! საქართველოს ტელევიზია იწყებს თავის პირდაპირ რეპორტაჟს ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ახლა ჩვენი დროით შუაღამეა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ არ სძინავს საქართველოს! დიდი და პატარა გულის ფანცქალით მოელის საქართველოს ეროვნული ნაკრების პირველ მატჩს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში. წუთიც და, აულერდება, ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს ჰიმნი და ქართველი ფეხბურთელები პირველ ფურცელს ჩასწერენ ეროვნული სპორტის მატიანეში!

ძვირფასო მკითხველო, ყველა ნატვრა კეთილად აგვხდენოდეს! ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

ზურიკელა.

## მზის მწვანე შუქი

პატარა ლაშას დედა ყოველ დილას ქათმებს საკენკს უყრის. 8 მარტს დედამ შეახსენა ლაშას: „დღეს ქალთა დღეა, აბა შენ იცი, როგორ მოიქცევი".

ლაშამ გაოცებული თვალებით შეხედა დედას და უთხრა: „დედიკო, დღეს მე დავუყრი ქათმებს საკენკს, მაგრამ მეტყვიან ისინი მადლობას?"

(8 წლის ლაშა აფციაური, თეთრიწყარო)

●

თეონამ ახლობელი ნათესავები ჩამოთვალა და ყველაზე ერთად თქვა: ყელში მიყვარანო.

— მე, მე არ გიყვარვარ? — ეკითხება დეიდა.

— ყელში ადგილი აღარ დამრჩა — უპასუხა თეონამ.

(8 წლის თეონა არაბაშვილი, გორის რ-ნი, ს. შინდისი)

●

ჰამაკში მწოლიარე ბიძას მირანდაც ჩაუწვა.

— შეიძლება ჰამაკმა ვერ გაუძლოს ჩვენს სიმძიმეს და ჩამოწყდეს — შენიშნა ბიძამ.

— ნუ გეშინია, — დაამშვიდა მირანდამ — აი, მომისმინე: შენ 21 წლისა ხარ, მე კი — 5-ის. ერთად 26 გამოდის. დედიკოც ხომ 26 წლისაა და ჰამაკი არასოდეს ჩამოსწყდომია.

(5 წლის მირანდა ბიგაური, საგურამო)

●

პატარა ვარა თოჯინას ათამაშებდა. ძმებმა, დათუნამ და ზვიადმა, ვარას თოჯინა გამოსტაცეს. ვარამ ძმებს ბაბუასთან უჩივლა.

— ახლავე ორივეს ყურებს დავაჭრი! — წარბი შეიკრა ბაბუამ.

— არა, ბაბუა, არ დააჭრა; მხოლოდ მკაცრად დაიშინე! — შეიბრალა ძმები ვარამ.

(8 წლის ვარა გოგოლაძე, ახალციხის რ-ნი, სოფ. წნისი)

●

თიკუნამ დიდხანს იავადმყოფა და საგრძნობლად იკლო წონაში. დიდი ხნის უნახავმა ოჯახის მეგობრებმა გულთან ახლოს მიიტანეს ეს ამბავი.

— ვაიმე, გახდი, პატარავ? — შეწუხდნენ ისინი.

— არა! მე ჯერ ისევ დიდი ვარ — დაამშვიდა სტუმრები თიკომ.

(8 წლის თინიკო დიდიძე, თბილისი)

●

წვიმს. ოთახში თბილა. ნატო და მისი ერთი წლით უფროსი ძმა ფანჯარაში იცქირებიან მამასთან ერთად. მამამ მათი ყურადღება მიაპყრო ეზოში მდგომ ორ ალვის ხეს და ეუბნება ბავშვებს: აი, ის მაღალი ალვის ხე ნოდარია...

— ის, მეორე, ცოტა დაბალი, ნატოა, ხო, მამი? — გამოიცნო მამის აზრების სვლა ნოდარმა.

— დედიკო? — გულდაწყვეტით იკითხა ნატომ და შუბლით მიეკრო გარედან წვიმის წვეთებით დაწინწკლულ ფანჯრის გრილ მინას.

(8 წლის ნატო ასათიანი, თბილისი)

●

პატარა ლადო ეკითხება ბაბუას:

— ბაბუ, არჩევნებში რომ ხმას მისცემ, მერე შენ ხმა აღარ გექნება?

(8 წლის ლადო გოგაძე, თბილისი)

●

მარიკას დედამ რუსული წიგნი უყიდა. ბებო ჩაეკითხა პატარას:

— მარიკა, შენ ხომ ქართული წიგნი გინდოდა? დედამ კი რუსული გიყიდა!

— არა უშავს, ბებო — გაეპასუხა მარიკა — მე დედამ რუსული წიგნი ქართულად მიყიდა!

(8 წლის მარიკა წერეთელი, თბილისი)

## ვიოლას სალონი



ჩეხი მხატვრის ვაცლავ იოჯანუსის ნახატები.

ჰოლანდიურ ჟურნალ „ნატუურ ენ ტექნიკში" გამოქვეყნებული ცხრილი ადარებს გარშემომყოფთა რეაქციას თანამშრომელ ქალისა და მამაკაცის ერთნაირსავე ქცევაზე:

| | ქალზე | მამაკაცზე |
|---|---|---|
| 1. მაგიდაზე უწესრიგოდაა დაყრილი წიგნები, ქაღალდები და ა. შ.: | არ შეუძლია თავისი სამუშაოს ორგანიზება | ბევრს მუშაობს |
| 2. ლაპარაკობს კოლეგებთან: | რა თქმა უნდა, ჭორაობს | სამსახურებრივ საქმეებზე მსჯელობენ. |
| 3. სამსახურში არ არის: | მაღაზიებში დარბის | საქმეზე წავიდა |
| 4. უფროსმა მიიწვია რესტორანში: | კომენტარი ზედმეტია! | შეფი აფასებს! |
| 5. ჯვარი დაიწერა: | ეხლა კი დაიწყება გაცდენები... | სანიმუშო თანამშრომელი გახდება |
| 6. მაგიდაზე ოჯახის წევრთა სურათი უდევს: | მაგისთვის ოჯახია მთავარი, სამუშაო სულ არ ენაღვლება. | აი, ჩინებული მეოჯახე! |

თარგმნა მედეა თავდიშვილმა.

## ორთხაპირიანი ზმნა

### ქართული ენის ახალი განმარტებითი ლექსიკონი

**ც**

ცალკერძი — ერთი თავი საჭმელი.
ცამეტი — (ფიგურ.) ცაზე მაღალი.
ცდისეული, — მხოლოდ ერთი კაცი ცდის.
ცენტრალური — შუაგულ ცეცხლისეული.
ცერეცო — (დიალ. კახ.) ცერზე ჰქონდა ჩამოცმული.
ცეცხლდაშენა — ცეცხლი და შენ.
ცნობარი — ამოიცნო სასოფლო-სამეურნეო იარაღი.
ცოლიანები — ცოლთან ერთად იყავ დაბმული.
ცოცხალი — დამწვარი ცოცხი.
ცხოველი — (დიალ. მოხ.) სხვა მინდორი.
ცხოვრებისეული — მარტოსული ცხოვრებაში.
ცხრამეტი — ზედმეტი ცხრა.

ლექსიკონის შედგენაში მონაწილეობდნენ: **მანანა ალადაშვილი** (სიღნაღის რ-ნი, სოფ. ჯუგაანი), **ირმა და მაგული ბეგიაშვილები** (გარდაბნის რ-ნი, სოფ. კუმისი), **ნონა გაფრინდაშვილი** (საჩხერის რ-ნი, სოფ. სავანე), **ალეკო გარაშვილი** (ახმეტის რ-ნი, სოფ. საკობიანო), **სოსო გალდავა** (გალი), **კობა თამაზაშვილი** (საინგილო, კახი), **სოსო იმედაშვილი** (თბილისი), **ნატო კერესელიძე** (გორი), **ოლეგ ლობჟანიძე** (ვალე), **მაკარ მაქაცარია** (სოხუმი), **ჯაბა ნოზაძე** (ქარელის რ-ნი, დაბა აგარა), **იზოლდა ქარქაშაძე** (ტყიბული, სოფ. დაბაძველი), **დავით ლოლიჯაშვილი** (თბილისი), **ზვიად ჰიჰიკოშვილი** (რუსთავი), **თინა ხაჩიძე** (გორი).

### თანამედროვე სიტყვა-თქმათა საბა ორბელიანის ლექსიკონი

**დიალოგი** — სხვათა ენაა, ქართულად ორთა უბნობას ნიშნავს, რუსულად — ერთისასა.

**ინტერნაციონალიზმი** — ესე არს, ოდეს ივერთა ქვეყანას შინა სპარსი, რუსი, სომეხი და სხვა ხალხი დაემკვიდროს და ქართველთათვის ადგილი აღარ დარჩეს.

**მიტინგი** — ესე არს ოდეს ხალხი საუბნოდ ერთს ალაგას შეიკრიბოს და ძლიერთა ამა ქვეყნისათა შიშით გული მისდიოდეს.

**ნარკომანი** — ესე არს მიცვალებული დაუმარხავი.

**უძღები შვილი** — რა ქართველმან, დედით და მამით ქრისტიანმა სული ეშმას მიჰყიდოს, თავს ჩალმა მოიხვიოს, აფხაზად იწოდოს და თვინიერ რუსულისა, სხვა ენა არ იცოდეს, იმასა ჰქვიან.

**ასლან კორძაია**
(რუსთავი).

## კლუბის ფოსტა

### დეპეშა უცხოეთიდან

თბილისის საფეხბურთო კლუბ „კარბურატორის" პრეზიდენტ ჩიტიძეს.

„პატივცემულო პრეზიდენტო! შევიტყვეთ, რომ თქვენ თურმე სირთულეები შეგექმნიათ თქვენს გამგეობასთან, რომელსაც არ სურს „კარბურატორის" გუნდმა მონაწილეობა მიიღოს გარაჟის პირველობაზე.

გადაეცით თქვენს გამგეობას, რომ, თუ კვლავაც დაუშლიან „კარბურატორს" „ტრაქტორის", „კომბაინის" და სხვა გუნდებთან შეხვედრების ჩატარებას, ჩვენ აღარ მოგამარაგებთ თქვენ სპორტული ინვენტარით — საფირმო ბაპნითა და ტუალეტის ქაღალდით.

რადგანაც ჩვენ კარგად ვიცით თქვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, ხოლო დაუბანელი ფეხბურთელი თავადაც მოგეხსენებათ, საკუთარ შესაძლებლობას მინიმალურადაც ვერ ავლენს — გირჩევთ, დაფიქრდეთ, ვიდრე საბოლოოდ იტყოდეთ უარს გარაჟის თანამეგობრობის წევრობაზე!

პატივისცემით: **ნორთლანდიის საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდიუმის მდივანი ვესტმარკი".**

### დეპეშა ქუთაისიდან

ცნობილია, რომ ამ ბოლო ხანს ჩვენში მასიურად ეცვალა ქუჩებს სახელები. ეს ხვედრი გაიზიარა ჩვენმა, ჯაფარიძის ქუჩამაც — იგი შეუერთდა ძველ, ნამდვილ დავით აღმაშენებლის ქუჩას და მასაც დავით აღმაშენებლის სახელი ეწოდა.

მიგვაჩნია, რომ ამით დიდი უსამართლობა მოხდა: თუ გავითვალისწინებთ ყოფილი ჯაფარიძის ქუჩის მოუვლელობას, შეუხედაობას, უსუფთაობას — მისთვის გაცილებით შესაფერი იქნებოდა გვეწოდებინა „მურვან-ყრუს" ან „ჯალალედინის" ქუჩა.

თუ დემოკრატიაა და საჯაროობაა, ყოველ ქუჩას მისი საკადრისი სახელი უნდა დაერქვას.

**ქუჩის მცხოვრებთა სახელით:**

**ჯემალ მურვანიძე**



ავტორი: ვასილ ბულეური

## ნაქცეული მთვარე

### მიბაძვა, პაროდია, პერიფრაზი

„დიდ ხეს ჩრდილი აქვს დიდი"
**მედეა კახიძე**

დიდ ხეს ჩრდილი აქვს დიდი,
პატარა — სუროს ფოთოლს,
დაიფარება ხიდი,
თუ დიდი თოვლი მოთოვს.
შემიმჩნევია: დიდ კაცს
ნაბიჯიც მოსდევს დიდი,
ზუსტად ასევე: ფლიდ კაცს
ახლავს ღიმილი ფლიდი.
ჰო, რას რა ახლავს კიდევ:
დიდ სახლებს — დიდი კიბე,
დიდ სუფრას — ხარჯი დიდი,
დიდ პიჯაკს — დიდი ჯიბე.
მსუქან კაცს — დიდი მადა,
დიდ ქარქაშს — დიდი ხმალი,
დიდ ღუმელს — დიდი ქადა,
დიდ მხარჯველს — დიდი ვალი.
დიდ მწუხარებას ახლაც
დიდი ნუგეში შველის,
დიდ ტრაგედიას ახლავს
ერთი პატარა ცრემლი.
ჯვარი უხდება მცხეთას,
თაიგულს — ვარდი შლილი,
ასე პატარა დედას —
ასე ვეება შვილი.
მთამ გვისმო ზეცისკიდით,
ხევებით დაღარულმა:
რა სიყვარული დიდი
იცის პატარა გულმა.

**ლერი ჩანტლაძე**

## სატირული ლირიკა

### მკითხავთან

— რამდენი წლის ხარ?
— ოცის.
— გაუთხოვარი?
— დიახ.
— გზა გაქვს: გფენია ფერხთით
სულ ვარდები და ია;
გხვდება გზის ბოლოს სუფრა
და ცისფერთვალა ბიჭი...
(ფერს სადღა ხედავს, ნეტავ —
აღარ მასვენებს იჭვი).
ჭიქას ჩაჰყურებს ქალი
იდუმალ ხაზებს ავლებს —
სულ ცისარტყელას ფერით
ხედავს გზებსა და თვალებს.
— სხვა რაღა გითხრა, ვიცი,
მეტის გაგება გსურდა... —
„შეწუხდა", რადგან თუმნის
არ აღმოაჩნდა ხურდა.
სიას მაჩვენებს, „ნახე,
კლიენტი მიცდის ბევრი..."
(ვინ მოგასწავლათ ბინა,
ცოდვა ვინ იდო თქვენი?)
მკითხავს ჭაღარა თმაში
გამრავლებია ასად,
უნდა მოასწროს, ყველა
გვამშვიდოს თუმნის ფასად...
ნაღველი ედგა თვალში,
ჰყავდა ჩამომჭკნარ იას...
არ ვიცი, ვკითხე რატომ
მას თუ კლიენტთა სიას:
— რამდენი წლის ხართ?
— ბევრის...
— გაუთხოვარი?
— დიახ...

**თამუნა ოგბაიძე**

## ციკლიდან: „მოგონებები მამაზე"

### მანანა დუმბაძე

რომან „ნუ გეშინია, დედას" დაწერის შემდეგ ნოდარ დუმბაძე აირჩიეს საპატიო მილიციელად. გადიოდა წლები, მილიცია თავის საპატიო წევრს ყოველ დაბადების დღეს სხვადასხვაგვარი საჩუქრით ულოცავდა: ხან ფორმა შეუკერეს, ხან ქუჩის მომწესრიგებლის ნივთები მიართვეს, ხან ინსპექტორის აქსესუარები აჩუქეს. რამდენიმე წლის შემდეგ „საპატიო კაპიტნის" წოდება უბოძეს და გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე ჩინით დაწინაურებაც შესთავაზეს. ამაზე ნოდარ დუმბაძეს გაეცინა და შინაგან საქმეთა მინისტრს შეუთვალა:

— მალე თქვენ იმდენს იზამთ, ოცდაჩვიდმეტში მამაჩემის დახვრეტას მე დამაბრალებთო.

## სეფეთი

●

მას შემდეგ, რაც ბებიაჩემი გადასახლებიდან დაბრუნდა, ჩვენს ოჯახში ხშირად გაიგონებდით ფრაზას: „პეტრე ბერიამ დახვრიტა", „ივანეც ბერიამ დახვრიტა", „პავლეც, ქსენიაც, თამარიც" და ა. შ. ბერიას მიერ ხვრეტის აქტი იმდენად ბუნებრივად აღიბეჭდა ჩემს (მაშინ ოთხიოდე წლის თუ ვიყავი) ცნობიერებაში, რომ ერთხელ, როდესაც მამაჩემს დახვრეტილი ფეხსაცმელი დავუნახე, ვკითხე:

— მამა, ეს ფეხსაცმელებიც ბერიამ დაგიხვრიტა?

ჰოდა, ამის შემდეგ, ჩემდა გასაკვირად, ოჯახის წევრებისაგან მსგავსი ფრაზა აღარ მსმენია.

## ნიკურტი



— აი, ჩვენი დეპუტატობის კანდიდატი!

რომან კარკუსაშვილის ნახატი.

# ჩვენებური ქალები დივნოვოდსკში

მინერალური წყლებით განთქმული ქალაქი დივნოვოდსკი ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობს. შეიძლებოდა იგი საერთოდაც დაბა ყოფილიყო, ქალაქის შუაგულში უზარმაზარი საკონცერტო დარბაზი რომ არ იყოს აღმართული და დარბაზის წინ ვეებერთელა შადრევანი არ მოჩუხჩუხებდეს. რაც შეეხება საკუთრივ მინერალურ წყლებს, ისინი საკონცერტო დარბაზიდან დაახლოებით კილომეტრის სავალზეა, სადაც პარკის გრძელ ხეივანს მიჰყავხართ.

დილიდან საღამომდე არ წყდება ადამიანთა დენა ამ ხეივანში: ჭიქებით, ბოთლებით და თერმოსებით შეიარაღებული დამსვენებლები გრძელ რიგად მიუყვებიან გზას მაცოცხლებელი წყაროებისაკენ და ამ მილეთის ხალხში ზაფხულის პერიოდში ერთი გარემოებაა განსაკუთრებით თვალში საცემი: ეს გახლავთ საშუალო ასაკის ქალების სიმრავლე, ბავშვებისა და მოხუცების ორივე სქესთა შედარებითი თანაფარდობის ფონზე. მათი სახეები მომეტებული პასუხისმგებლობის იერით არის აღბეჭდილი, რადგანაც სახლებში დარჩენილ მეუღლეთაგან ოჯახის უფროსთა უფლება-მოვალეობანი მთლიანად საკუთარ თავზე აქვთ გადმობარებული.

ქალების გარჩევა რეგიონების მიხედვით თვით ტანისამოსითაც შეიძლება: შუა აზიელი ქალები, მაგალითად, გრძელ ტრადიციულ კაბა-ჯუბაში არიან გამოწყობილნი და ტანის ნაკვთების შეურჩევლად ყველანი ისე დააბიჯებენ, თითქოს თავზე ლანგარი ედგეთ და მისი გადმოვარდნისა ეშინოდეთ. ეს — აღნაგობით. ხოლო სოციალურ-მატერიალური ნიშნით თუ რამდენად შეიძლება მათი ერთმანეთისაგან გარჩევა ხავერდისა და სატინის კაბების მიხედვით, ეს მათივე შუააზიელმა თანამემამულეებმა უწყიან, „ეგ ჩვენი საქმე არ არის", როგორც დიდი ილია იტყოდა, ჩვენ ჩვენი საქმისა ვიკითხოთ და ვნახოთ, ქართველი ქალებიც ხომ არა ჩანან სადმე, ან თუ ჩანან, ხომ არ გამოირჩევიან რაიმეთი. რაღა თქმა უნდა, რომ ჩანან კიდეც და გამოირჩევიან იმავე დროს, მთელი დივნოვოდსკის დასანახად! აქ უკვე ჩვენა გვაქვს თვალი გაჩვეული და არც იმ სხვაობის აღმოჩენა გაგვიჭირდება, რომლითაც ისინი შეგვიძლია ორ ჯგუფად დავყოთ:

ერთნი, რომლებსაც კრუხის ინსტინქტები აქვთ უხვად მომადლებული და რომელთაც პირობითად „მეოჯახე დიასახლისები" შეგვიძლია ვუწოდოთ; და მეორენი — მოჭარბებული ევროპეიზმით ქცევასა და მანერებში, რომელთაც ხალხში „სვეტებს" უწოდებენ, ხოლო ჩვენ კი, მეცხრამეტე საუკუნის ფრანგი ნოველისტების მიბაძვით, მოდით „საზოგადოებაში გამოსულნი" დავუძახოთ.

„მეოჯახე-დიასახლისი" დილით მარტო გადის სახლიდან მინერალური წყლის ასაღებად. ბიუვეტები მხოლოდ ათის ნახევრამდეა ღია და არ უნდა, ადრე ადგომით დილის ძილი დაუფრთხოს შვილებს. რამდენიმე საწრუპავიანი ჭიქა ერთად უჭირავს ხელში და სათუთად მოაქვს, რომ არ დაეღვაროს. როდესაც მიდის, ზურგიდანაც კი ადვილად იცნობა: ფერდები წელის გაუვლელად დასდიან პირდაპირ ბარძაყებში, რომელთაც ენერგიულად შეისვრის ხოლმე მორიგეობით, ხან მარცხნიდან, ხან მარჯვნიდან. ფეხზე საშინაო ქოშები აცვია („ნეტაი თქვენ, აქ ვინა მხედავს!"), რომლებსაც ძირები გადაზნექილი აქვს და სიარულის დროს, უკაცრაული პასუხია და იმ ფეხსაცმლის ლანჩისფერი საკუთარი ფეხის ქუსლები მოუჩანს.

„საზოგადოებაში გამოსული" მანდილოსანი ბასკის სტილის კოსტუმშია გამოწყობილი, რითაც ხაზს უსვამს საცურაო აუზსა და ტენისის კორტებზე ვარჯიშში გამონაკვთულ წელს. პირისახეზე კოსმეტიკური საშუალებებით აქვს ამოვსებული უკვე რაზანია ჩავლილი ახალგაზრდობის მანიშნებელი ჩაცვივნული ლოყები. წყლებისაკენ იგი მიეშურება წელის ნელი და ირიბი რხევით. გზაში საწრუპავიანი ჭიქა უვარდება. თხოვს გამვლელს: — გეთაყვა, ჭიქა დამივარდა, ამიღეთ, თუ შეიძლება!

„მეოჯახე-დიასახლისი" შუადღისას უკვე შვილებთან ერთად მიუყვება გზას წყლებისაკენ. უეცრად უფროსი ბიჭი ეკარგება მხედველობის არედან. იწყებს ძებნას გამწარებული, უხმობს ხმამაღლა, მთელი პარკის გასაგონად. მაგრამ არსადა ჩანს. სასოწარკვეთილება აღბეჭდება სახეზე, თითებს შეიყოფს თმებში და ემზადება საკივლელად, რომ შეჯგუფულ ხალხსა და ჩოჩქოლს მოჰკრავს თვალს: იქ, სადაც მცენარეული დეკორით დიდი ასოებით ქალაქ დივნოვოდსკის სახელია გამოყვანილი და, სადაც ყოველი მოგარაკე თავს მოვალედ თვლის, რომ სურათი გადაიღოს, დამსვენებელთა საზოგადოებას ჩაუყენებია შუაში მისი ვაჟიშვილი და მისთვის გაუგებარ ენაზე ჰკიცხავს. „მეოჯახე-დიასახლისი" ეკვეთება თავგანწირვით, გაარღვევს წრეს და გამოგლეჯს მათ შვილს, როგორც კრუხი ქორის წიწილს. ირკვევა შემდეგი: როდესაც მორიგი სურათის გადასაღებად ფოტოგრაფს თავი შეუყვია აპარატში, თავზეც შავი მატერია გადაუფარებია და ტანითაც, რა თქმა უნდა, წინ გადახრილა, მიჰპარვია უკნიდან ეს ვაჟბატონი და ჯოხი შეუკეტნებია საჯდომში, სწორედ იმ მომენტში, როდესაც იმას თითი უნდა დაეჭირა სახსლეტისათვის. „მეოჯახე-დიასახლისი" ენერგიულად უტრიალებს ყურებს ონავარს და მერე იმავე ყურებში ჩასჩურჩულებს:

— მოიცა, ჯერ ჩამოვიდეს მამაშენი... ის მოგივლის შენ კარგად!

„საზოგადოებაში გამოსული" მანდილოსანი თავის შვილებს ასე არასოდეს არ ემუქრება. ისინი ამ დროს კაფე-ბარში ყავას მიირთმევენ პატარა ჭიქებით და ატანენ არაყისის ნამცხვარს; მაგრამ კიდეც რომ სჭირდებოდეს მსგავსი მუქარა, ის მაინც საფუძველს იქნებოდა მოკლებული, რადგან მათი მამა ვერ ჩამოვა იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ ამ დროს იგი მივლინებაშია საზღვარგარეთ, ან ექსპედიციაშია, ან გადაღებებზე და ა. შ.

საღამოს „მეოჯახე-დიასახლისი" და მისი შვილები მაგიდას უსხედან ნაქირავები ფლიგელის კუთხეში და ვახშამს შესდგომიან. მარცხენა ხელის ორი თითით — საჩვენებელითა და ცერით დედა თვითონ იტენის დიდ-დიდ ლუკმებს აქტიურად მოძრავ ყბებში, ხოლო მეორე ხელში უჭირავს კოვზი და ხან ერთ შვილს ამოჰკრავს პირში და ხან მეორეს, მათი ერთობლივი პროტესტის მიუხედავად:

— არ მინდა რა, დედი, გეხვეწები!

— ჭამე, თორემ ან შენ მოგკლავ, ან ჩემ თავს მოვიკლავ!

მოსალოდნელი საფრთხით შეშინებული ბავშვები ხმას იკმენდენ და სახედამეჭილნი უგემურად ლოღნიან ლუკმას.

„საზოგადოებაში გამოსული" მანდილოსანი ამ დროს საკონცერტო დარბაზში ესწრება პიანისტ რიხტგაუზის კონცერტს, და მარცხენა ხელის ორი თითით — საჩვენებელითა და ცერით მალიმალ ისწორებს მძივებსა და საყურეებს, ხოლო მეორე ხელს იფარებს ტუჩებზე და ჩურჩულით გადაულაპარაკებს მასთან ერთად ჩამოსულ მეგობარს აუცილებლად რუსულად: „ნეპოსტიჟიმო", „ოჩაროვატელნო", „კაკაია ისპოლნიტელნაია კულტურა"!

„მეოჯახე-დიასახლისს" და „საზოგადოებაში გამოსულ" მანდილოსანს თითქმის არა აქვთ ერთმანეთთან შეხების წერტილები, მაგრამ იშვიათად, მაინც ხდება, რომ მათ შორის იბმება უსიტყვო კონტაქტები.

მაგალითად: მოდის ბაზრიდან „მეოჯახე-დიასახლისი". ერთ ხელში მძიმე ბადურა უჭირავს, მეორე ხელში — კიდევ უფრო მძიმე მეორე, ხოლო მკლავებზე ჩაჭიდებული ბავშვები მოსდევენ. ამ დროს „საზოგადოებაში გამოსული" მანდილოსანი სკვერში ზის მასთან ერთად ჩამოსულ მანდილოსანთან ერთად და ორივე ერთნაირი ჰაეროვანი მოძრაობით ეწევა სიგარეტს.

„მეოჯახე-დიასახლისი" აქეთიქით იყურება, ერთი სული აქვს, გამოჩნდეს ვინმე თანამგრძნობი, ქალი, კაცი, სულ ერთია, ვისაც გაუზიარებდა — აზრებს, რომლებსაც მისი თვალები აკვესებენ:

„ფუჰ, შევარცხვინე შენი ქალობა! ქართველი ქალი უნდა გერქვას შენც? ქალი რომ პაპიროსს მოსწევს, ის სხვა რამესაც იკადრებს!" და იმით ბოლომამორეული, რომ გვერდით არავინა ჰყავს, ვისაც ამ სიტყვებს ეტყოდა — თაქ! — წაუთაქებს თავში თავის ვაჟს, რომელმაც დღეს უკვე მიიღო თავისი წილი და ახლა, დაუმსახურებელი სასჯელით აღშფოთებული შეჰბღავლებს დედამისს თვალების ბრიალით.

„საზოგადოებაში გამოსული" მანდილოსანი უცქერის ამ სურათს, ოდნავ დააელმებს თვალებს და უბოროტო დაცინვით თვალებითვე ეპასუხება „მეოჯახე დიასახლისს":

„— მაგას რას ერჩი, ბავშვმა რა დაგიშავა? შენი დამარხული ქალობის ჯავრს მაგაზე რატომ იყრი? აქ მაინც დაისვენე ევ ხელები ბაზრის ჩანთებისაგან, კურტნის მუშობა შინ არ გეყოფა?"

მაგრამ ეს თვალებით საუბარი აქ არავის ესმის და მას დივნოვოდსკის ცხოვრებაზე არავითარი გავლენა არა აქვს და, რაღა თქმა უნდა, რომ არავითარი კონფლიქტიც არ მოჰყვება: მინერალური წყლები ისევ ძველებურად მოედინებიან, როცა ბიუვეტები დაკეტილი არ არის და საკონცერტო დარბაზის წინ მდებარე შადრევნებიც ძველებურად მოჩუხჩუხებენ.

**ზურაბ ასკანელი**

## პავლუშას ფოტოატელიე



ფოტოატელიეში მორიგეობდა დავით დემეტრაშვილი.

კლუბის კედლის გაზეთი — **შუშის თვალი**

### ფერიათა დედოფალი

წინასარვამარტოდ დედაქალაქის მანდილოსანთა საზოგადოებამ ჩაატარა სილამაზის კონკურსი: „გაზაფხულის ფერიები". მკაცრმა ჟიურიმ ფერიათა დედოფლად აირჩია № 167 ინტერნაციონალური პროფტექნიკური სასწავლებლის სტუდენტი, ახალგაზრდა ზანგი ქალიშვილი იმე იზაბელ დე ლა ესისებიო.

**გია ხუბუა,**
(გალის რ-ნი, სოფ. საბერიო)

### შემოქმედებითი წარმატება

8 მარტის წინა დღეებში ბოლოსდაბოლოს მიაგნო თავის მუზას დამწყებმა პოეტმა წიწკანაშვილმა. იგი აღმოჩნდა გამომცემლობა „ჩიტუნების" რედაქტორი ნარგიზა ბილილაშვილი, რომელიც სიამოვნებით დათანხმდა ავტორის საქორწინო წინადადებას.

**პეტრე ზგონიკოვი-ლაგოჯერიძე**
(ხარკოვი).

„ახალგაზრდა კომუნისტის"

ილიკო & ილარიონი

სატირისა და იუმორის კლუბი

**ლიტერატურული გვერდი**

# ჩემი პირველი რვა მარტი

### ნანა დავითაშვილი

●

ელბაქიძის დაღმართზე შემოდგომა
ტიროდა...
სხვისი ტირილი მეც სატირლად
განმაწყობს ხოლმე,
ცრემლმორეულმა ავირბინე
აღმართი და
რუსთაველზე ხალხს შევერიე.
... მივდიოდი მოცინარ სახეებს
შორის,
მაგრამ ვგრძნობდი, რომ
გული ელბაქიძის დაღმართზე
დამრჩა,
ატირებულ შემოდგომასთან.

#### მარტოობა

შუაღამისას კარზე მომიკაკუნეს...
სარკეს გული გაებზარა შიშისაგან
და
ათრთოლებული მზერა მომაპყრო.
ისევ განმეორდა კაკუნი, —
ისევ გაუფართოვდა სარკეს
თვალები,
ნუ გეშინია-მეთქი, დავამშვიდე და
გულდაგულ გაველ დერეფანში,—
კარებთან მარტოობა
აბუზულიყო...
შემომიშვი, — შემევედრა,
მე-ში-ნია! — აწკრიალდა სარკის
ბროლი.
ეშინიათ-მეთქი შენი,
ჩუმად ვუთხარი მარტოობას და
კარი ცხვირწინ მივუხურე.

#### ზამთარი

ზამთარი ნელ-ნელა მოდიოდა
დედამიწისაკენ...
როგორც იქნა, მოაღწია და
მსუბუქად ჩაწვა თავის საწოლში;
ბალიშად დაბურული მთა ედო, —
საერთოდ, მაღალ სასთუმალზე
ძილი უყვარდა...
მძინარე მზეთუნახავს ჰგავდა
ზამთარი, —
მშვიდად სუნთქავდა და
ძილში თეთრ სიზმრებს ხედავდა.

### დოდო ნათიძე

●

მიწა ქარდაკრულ მზეებს
ისუნთქავს,
მცვივა ბედნიერ ქალის ნიღბები,
მე დავიღალე... მაგრამ ვის უნდა,
ქალი დაღლილი მზით და
სიმღერით.
სული მისტირის მაღალ
გრიგალებს,
არა მკაცრსა და არა ცვალებადს,
ო, ნუ დაუშვებთ ასე უდროოდ,
ჩემში ტკივილთა გარდაცვალებას.
ჩამქრალ რიჟრაჟებს განა ვტირი
მე,
მწამს ყველაფერი მოვა თავიდან,
თქვენ ვერ იტანდით ლექსებს
ტკივილზე,
მე ამ ტკივილებს ცამდე ავიტან.
ზოგჯერ სიმშვიდე ჯაჭვივით
მახრჩობს
და მომაქვს სევდა გულში ნადები
ო, სულერთია იქ, სადღაც ახლოს,
მე ხელმეორედ დავიბადები.
სული მისტირის მაღალ
გრიგალებს,
არა მკაცრსა და არა ცვალებადს
ო, ნუ დაუშვებთ ასე უდროოდ,
ჩემში ქარიშხლის გარდაცვალებას.

#### ხიონის სამგლოვიარო კედელთან

მე ფიქრი ყოველთვის ამეშლება,
როცა გაგიხსენებთ ფერნაცვალებს.
ზვარაკნო, თქვენს ლამაზ
გაელვებას,
თქვენს ლამაზ ოცნებებს
ვენაცვალე.
ჰოი, საქართველოს მანანებო,
შეგცქერით და მაინც არა მჯერა,
— რა ძნელი ყოფილა
საყვარლებო,
სისხლით მოტანილი გამარჯვება...
იჰვი, მოდარაჯე, მუდამ გამკრავს,
როცა გაგიხსენებთ ფერნაცვალებს.
დაჩეხილს და მაინც ფეხზე
დამდგარ,
თქვენს ლამაზ ოცნებებს
ვენაცვალე.
ჰოი, საქართველოს ვაჟკაცებო,
შეგცქერით და მაინც არა მჯერა...
— რა ძნელი ყოფილა
საყვარლებო,
სისხლით მოტანილი გამარჯვება.
ჩვენც თუ ვერ შეგხვდით
ამქვეყანაზე,
იმქვეყნად მაინც
დაგელოდები.

### ქეთი დოლიძე

●

ბედნიერებად ისიც მეყოფა,
ერთხელ წვიმაში როცა მინატრე...
სიკვდილი გზაზე გადამელობა, —
შემომაშველე შენი სინათლე.

მე შემაბნიეს ლექსი ექვნებად
და სტრიქონებში უნდათ ამრიონ...
როცა ოცნება დაბლა ეშვება,
მარტოსულივით უჭირს ალიონს,

ბობოქარ ზღვასთან ისევ მარტო
ვარ,
ქარს გავატანე ჩემი ჩივილი,
ცისფერპერანგა ზეცის მადონამ
სული ჩაიკრა გულში ჩვილივით.

#### მელანქოლია

როდესაც კარზე
მათხოვარივით
მომადგებოდა
მელანქოლია,
ზღვისფერთვალება
ლექსებს ვჩუქნიდი —
სიმდიდრე მეტი
მე არ მქონია.
ახლაც მესტუმრა...
და ჩამომენგრა
ჩემი ოცნების
ხარაჩოები,
თუკი დამინდეს,
თუკი მაცალეს,
დაგიბრუნდები
ყაყაჩოებით.
და თუ გამწირეს,
ცისფერ ნაპირთან
ამღერდებიან
სირინოზები,
ჩემი ობოლი
ლექსის ამარა
ფარული სევდით
შევიმოსები.
გარდავიცვლები,
გამიხსენებენ
ისევ ლექსები —
სიტყვის ლოთები,

### ნათია ღლონტი

#### „შენ და იმედი“

თვალები ზეცად მიპყრობილი
სავსეა სევდით, —
არის ვედრება, არის ცრემლი...
და სანუგეშოდ ისევ მრჩებით
შენ და იმედი,
მიწაო ჩემო!

#### „ისევ მოვდივარ“

ისევ მოვდივარ,
ისევ გეძახი...
ძახილი სივრცის ყრუ დუმილს
ერთვის...
ოჰ, როგორ მსურდა, რომ
დაგწეოდი
და პატიება მეთხოვა შენთვის.

### ირმა ჯანგირაშვილი

#### ნატვრა

ქარი ქრის ოცნების სარკმელში
შემოდის რძისფერი სინათლე,
ისეთი ლამაზი ღამეა



დავხუჭავ თვალებს და გინატრებ!
გინატრებ, კრძალვით და
მალულად
მთვარე დაიღვრება ფიქრებად
გული სიმარტოვით შეჰკივლებს
და მერე, მოხვიდე იქნება!
ქარი ქრის, ოცნების ქრის ქარი.
სარკმელში კეკლუცობს სინათლე
ისეთი ლამაზი ღამეა...
დავხუჭავ თვალებს და გინატრებ!..

### მარინე ტაბატაძე

#### ყველა საძირკველი დაელოცოს!

შევხსენი დაგმანული კარი,
ფუძის ანგელოზი ცეკვავს,
გალაღებულია ჩუნჩხა,
ზარებს ანგელოზი რეკავს...

გამრავლდა ფეხმძიმე ქალი...
გამჩნევ სიხარულის კურცხალს,
უფრო გაიშალე მხრებში,
მტრის დასაბრმავებლად, ჩუნჩხა!

ვიმღეროთ ფუძის ანგელოზო,
ვიცეკვოთ ფუძის ანგელოზო,
რათა საქართველოს ჩემსას,
ყველა საძირკველი დაელოცოს!

#### დედა

როგორ ჩუმად მოიპარა ზამთარი...
და ამის თქმას შენთან ველარ
ვბედავ,
შენს თმებშიც რომ ჩამოზამთრდა
ნელ-ნელა
საყვარელო დედა.

რა საოცრად გიბრწყინავენ
თვალები,
მაგ თვალებში რამდენ სითბოს
ვხედავ...
რამდენჯერაც ჩემს ზრუნვაში
დაგათენდა
მსურს იმდენჯერ გაგახარო დედა.
უფრო მეტად რომ მიყვარდეთ,
უფრო მეტად ვიგრძნო შენი
სევდაც,
მიპასუხე დედის გული რად
თრთის,
სულ რად შიშობს, სულ რად
დარდობს
ნეტავ?

### ლეილა ბჟინავა

●

ვუჩივით დროს,
აღარ მოდისო მუზა,
და გვავიწყდება,
ჩვენ კი არ ვწერდით,
ბავშვობა წერდა ლექსებს.

#### ყულევში, ზღვის სანაპიროსთან

ბავშვები მიჰყავდათ რედუტ
კალედან,
საქართველოს სიმდიდრე
მიჰყავდათ...
„ვავა, სკუა“
ანაკლიას ანა ქალი ჰკიოდა
და ზღვის გაღმა, სხვის მიწაზე,
ბრძოლის ველზე... „ვავა; ნანა“,
ეცემოდა საქართველოს იმედი.
შეიბრალე ეს ბავშვები —
ცირა, ხვიჩა, თოლისქვამი,
უტა, უჩა, მახარე,
ძმათა სისხლიც, ძმათა სისხლიც
ააშორე, საქართველოს,
ააშორე, აკმარე,
ღვთისმშობელო, მარიამ!

### ინგა ვაშაყმაძე

#### შენ ნათლისმცემელს...

შენი სულივით წმინდა იყო
შენი ზეობის პირველი დღეც და
ამოსუნთქვაც უკანასკნელი...
შენ არ შეუდრკი არც კვეხნით
მოსულს
არც მალვით მომხვდურს,
არც დაუკარი უკანას კვერი.
აღმშენებლისთვის არ იყო უცხო
არც ბიზანტია, არც სინას მთა,
არც კართაგენი,
რადგან აწვდიდა ჰკუა-გონებას
საზრდოს გულისთქმა და კარგთა
გენი.

ვერ დაივიწყებს, მეფევ, შენს
მახვილს
ვერც ქურდოვანი, ხიშტალანთი და
ვერც ლიზანი,
საქართველოსთვის
წმინდათაწმინდა
იქ განჭვრეტილი იყო მიზანი.

შენს სახატედ და სავანედ დარჩა
ომების ღმერთო:
ერწუხ-დიდგორი,
აქ დაიღვარა საშვილიშვილოდ,
მეფეო, შენი წმინდა იქორი.

გელათი სხივს გფენს, ბაგრატი
გლოცავს,
რუის-ურბნისი პირჯვარს
გადაგწერს,
თბილისი ყვავის და მირონს
აცხებს
მემატიანე თავის გადამწერს
გეთაყვანება ერთიან სამწყსო
შენ ნათლისმცემელს, ცოდვათა
განმბანს.
ფეხის მაგივრად გულზე
დაგადგამთ
აზიის მზეს და ქართლოსის
ანბანს!

### ნონა დავითაია

#### ნინევია

ო, ფიქრებს
ამ შენს უმძიმეს ყვითელ
გრანიტებს
სად, სად წაიღებ
ან რომელი მიწა დაიტევს
ნუთუ არავის, დღეს არავის
მოეკითხები...
როგორ შეგახო მე ცოდვილმა
ჩემი თითები.
ამ დალეწილი დიდი ულლით
ვილას შეჰხარი,
შენი სისხლია ორბიტაზე
როა შემხმარი...
მაინც სად გაქრა შენი ტანის
თეთრი ქვითკირი
ან შენს მტვერწაყრილ დროშის
ფერებს
რატომ მივტირი?
ვის შეატოვე შენი სიტყვის
ასომთავრული?
სთქვი რა დაგარქვა
ბედისწერა თუ სინანული...
ფეხქვეშ გიგდია მწუხრისფერი
ლაგამ-ავშარა.
საით წასულხარ?
წყარო შენი როგორ დამშრალა?..
ან მზედაცლილი რატომ დამდევ
მღვრიე თვალებად, —
რად ჩამესახლე როგორც დიდი
იდუმალება.
მინდა სტრიქონებს
შენი ბუხრის კვამლი ათბობდეს
ო, რა შორია
შენს წაქცეულ სამოსახლომდე...

### ირმა ბეგლარიშვილი.

●

„ერთ ლოყაში რომ გაგარტყამენ,
მეორე ლოყა მიუშვირე...“
**მახათმა განდი**
ბრძენის სიტყვებმა სადღაც გულში
მწარედ გამკენწლა,
ეს აბსურდია თავისთავად სიკეთის
თესვის,
მაგრამ ამ ბრძენ კაცს იმის თქმა
კი გადაავიწყდა —
თუ მეორეშიც გაგარტყამენ, რა
„მიუშვირო?!“
თუ შეეწირო სიკეთისკენ
უაზრო ლტოლვას,
გულხელდაკრეფილს განდის
სიბრძნე არ დაგავიწყდეს?!
მაგრამ ის ვინაც, ერთ ლოყაში
უკვე გაგარტყა —
მეორის გარტყმას დავიჯერო
რომ ითაკილებს?!

### ლანდა მახხულია

#### ახლა მარტია...

შევხვდი ამის წინ,
მაინც მარტო ვარ,
არ ვიცი რატომ,
მაინც რა ხდება,
ისევ წახვედი,
ხვალეც არ მოხვალ,
უცხო სხეული ჩემში სახლდება.
მიამიტი ვარ ჩემი ლექსივით.
თუმცა სხვაგვარი,
სხვა კოშმარებით,
მე შენს სხეულში ყოფნა
მიხდება
ხანაც ცხადად და ხანაც
ზმანებით.
ცისფერი სიზმრის
სიამეს ნიშნავს
ჩემი სულელი ვნების ქარტია,
მტრედისფერ ღმერთს და
მის სულში ხილვას
ვეძებ,
და ვხვდები...
ახლა მარტია.
ვნების გაყოფა შეგეძლოს ნეტავ,
სხეული მზეზე გადმოვასვენო,
შენი სახე და ციაგი ფერთა
ლურჯი თვალებით უნდა
დავსერო.
მაგრამ არაფერს მათქმევინებენ,
წარსულის ჩრდილი
მიფორთხიალებს...
ჩემი კენტობა ღმერთმა ინება,
ბედის ბორბალიც მისით
ტრიალებს.

**ლიტერატურული გვერდი**

# არ ვულოცავ

პრინციპულად არ მივულოცავ ნინო ანანიაშვილს ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტის დღესასწაულს: არ მიულოცავ, ვინაიდან მიმაჩნია, რომ ნინო ანანიაშვილი დიდი უარყოფითი მოვლენაა საბალეტო ხელოვნებაში.

ბავშვობიდან ბალეტის დიდი ტრფიალი გახლავართ, ჩემთვის ყოველთვის დიდი ბედნიერება და სიხარული იყო ნიჭიერი მოცეკვავის ხილვა სცენაზე თუ ტელეეკრანზე, ახლა? რაც ნინო გამოჩნდა, მის გარდა ვერავის ვუყურებ, რაც არ უნდა კარგი სპექტაკლი იყოს, თუ ის არ ცეკვავს, გული არ მიმიწევს იქითკენ. აი, ასე დამაკარგვინა ყოველგვარი ინტერესი ამ დიდად პატივცემულმა ქალბატონმა და მისი მადლიერიც უნდა ვიყო? სამაგიეროდ სპექტაკლს, სადაც ნინო ცეკვავს, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე, დიდის ალტაცებით ვუყურებ, მომწონს ყველა მოცეკვავე, ყველას გულწრფელად ვუკრავ ტაშს. (ხანდახან ეს ორკესტრს არ ეხება). ამიტომ, პატივცემულო რედაქციავ, მე როგორც დიდად დაზარალებული მაყურებელი, ვითხოვ თქვენს შუამდგომლობას თეატრის დირექციის წინაშე, რათა, როგორც წესი, ნინოს ყველა სპექტაკლზე გამომეყოს ორი ბილეთი ყველაზე საუკეთესო ადგილას, (ორი, რადგან ერთი ბილეთი თუ მომეცით, ჩემი შვილი აუცილებლად წამართმევს და მე ხახაშრალს დამტოვებს).

სარვამარტოდ კი ჩემს თავს ვუსურვებ, მრავალი, მრავალი შობაახალი წელი და ქრისტეს აღდგომა მიმელოცოს ნინოსათვის და მისი თამადობით ყველა იმათთვის, ვინც მოციქულთა სწორისა და ჩვენი ქართველების დიდი განმანათებლის წმინდა ნინოს სახელს ატარებს, საერთოდ ყველა ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი ქართველი ქალისთვის, ვუსურვო მათ დღეგრძელობა, ბედნიერება ოჯახში თუ პირად ცხოვრებაში და რაც ყველაზე მთავარია, დედასაქართველოს უანგარო სამსახურში.

კაი, ბატონო, რვა მარტსაც ვულოცავ მათ!..

**ნანა მჭედლიძე**



# ...ქეთევანი

**(დასასრული)**

ფალი. შაჰ-აბასის მრავალგზისი ცდა — აეძულებინა იგი რჯული შეეცვალა, უშედეგოდ მთავრდებოდა. განრისხებულმა შაჰმა იმით, რომ თეიმურაზ პირველი ირანის საწინააღმდეგო კავშირს ეძებდა რუსეთთან და თურქეთთანაც, ხოლო ქეთევან დედოფალი უარს აცხადებდა გამაჰმადიანებაზე, განკარგულება გასცა დაესაჭურისებინათ ლევან და ალექსანდრე ბატონიშვილები, მათ ვერ გაუძლეს საშინელ წამებას, უმცროსი იქვე გარდაიცვალა, უფროსი კი ჭკუიდან შეიშალა. ჯერი ქეთევანზე მიდგა. შაჰმა კიდევ ერთხელ შეუთვალა მოხელეების პირით, გამაჰმადიანებულიყო, დაეგდო თავისი რჯული და რწმენა და სამაგიეროდ შაჰი მას ცოლად შეირთავდა, მაგრამ თუ არ ისურვებდა გამაჰმადიანებას, სასტიკი წამება და სიკვდილი ელოდა. **„არ მივატოვებ ჩემს ქრისტეს, ჩვენს ღმერთს“** — უპასუხა მოხელეებს და ამ სიტყვებით თავის თავს უკვე განაჩენი თვითონვე გამოუტანა. 49 წლის ასაკში 1624 წლის 12 სექტემბერს გაუგონარი წამებით სული ამოხადეს ქეთევან დედოფალს შაჰის ჯალათებმა. მის წამებას უშუალოდ ესწრებოდნენ ავგუსტინელი მისიონერები, რომელთაც აღწერეს წამების მთელი სცენა. მათ რელიკვიები, თავისა და სხვა ძვლების ერთი ნაწილი გადასცეს თეიმურაზს, ხოლო ნეშტის სხვა ნაწილი ისპაჰანიდან გოაში (ინდოეთი) წაუღიათ და იქ მოუთავსებიათ და გრასას მონასტერში.

აქ სრულდება ქეთევან წამებულის ამქვეყნიური ცხოვრების სევდიანი და ნაღვლიანი ისტორია. და იწყება საუკუნო, მარადიული ცხოვრება მისი სულისა. ქართულმა ეკლესიამ ქეთევან დედოფალი წმინდანად შერაცხა. **„ვინ იცის, მერმედ დაჭრილ საქართველოს ეგებ წამალივით სჭირდებოდა ქეთევანის წამება. სჭირდებოდა გამოხალვიძებლად, გამოხაფხიზლებლად, რაც მთავარია სჭირდებოდა — ხამერმისოდ და ხამარადისოდ“.** ქეთევან დედოფალმა თავისი მოწამეობრივი სიკვდილით გვირგვინი დაადგა თავის მშობელ ერს და კიდევ ერთხელ ცხადყო ქართული სულის უკვდავება.

**ლალი მიქელაძე**

# ...ბალეტი არაჩვეულებრივი ხელოვნებაა

**როგორც მკითხველისათვის ცნობილია, დავით აღმაშენებლის საზოგადოების მოწვევით თბილისში საგასტროლოდ იმყოფებოდა საქართველოს სახალხო არტისტი, დიდი თეატრის სოლისტი ნინო ანანიაშვილი, ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა შევხვედროდით ნინოს და რამდენიმე კითხვით მივვემართა მისთვის.**

**— ნინო, სამწუხაროდ, თბილისი საბალეტო ხელოვნების გრანდქალაქთა რიცხვს არ მიეკუთვნება. არც თბილისელი მაყურებელია განებივრებული ვარსკვლავთა ხელოვნების ხილვით, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე იშვიათ გამონაკლისს და იმ ბედნიერ დღეებს, როდესაც თქვენი გვარი გამოჩნდება ხოლმე აფიშაზე, ამასთან ერთად, საინტერესოა, რას ფიქრობთ თბილისის საბალეტო დასის შესახებ. შეუძლია თუ არა ახლო მომავალში თბილისელ მაყურებელს იოცნებოს ჩვენს ქალაქში ჩატარებულ პრესტიჟულ საერთაშორისო კონკურსზე და რა იქნება ამისათვის საჭირო?**

— ჩემთვის ძალიან ძნელია ამ თემაზე კონკრეტული საუბარი, მაგრამ რაკილა ასეთი კითხვა გაჩნდა, ეტყობა მაყურებელი არ არის კმაყოფილი, თუმცა ჩემი აზრით, აქ რამდენიმე მომენტი უნდა გავითვალისწინოთ, უპირველეს ყოვლისა ის, რომ ჩვენს ხელოვნებაში ბევრ კომპონენტს აქვს მნიშვნელობა. იმისათვის, რომ დასი იყოს მაღალ დონეზე, საჭიროა შევქმნათ ყოველგვარი პირობები, გვყავდეს უმაღლესი კლასის პედაგოგები...

ნიჭიერებით ქართველ ხალხს ვერავინ შეედრება, მაგრამ ის კია, რომ ცოტა ზარმაცები ვართ. თუ აუცილებელ პირობებთან იქნება დისციპლინაც, მაშინ, ჩემი აზრით, წარმატებას მხოლოდ ერთი და ორი მოცეკვავე არ მიაღწევს, მითუმეტეს, რომ არაჩვეულებრივად ნიჭიერი ბავშვები მოდიან სკოლაში. მათ სჭირდებათ ხელის შეწყობა, მე ვთვლი, რომ ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მე რომ ჩემს პედაგოგთან არ მოვხვედრილიყავი, დღეს ალბათ, ბალერინა არ ვიქნებოდი.

ბალეტი ძვირად ღირებული ხელოვნებაა. უნდა შეიქმნას არაჩვეულებრივი დეკორაციები, კოსტიუმები, ჩვენი მოცეკვავეები ისეთ პირობებში ცეკვავენ... მე ვთვლი, რომ ისინი გმირები არიან... რომ ვთქვა, სცენა ოღროჩოღროა მეთქი, ალბათ, გაგიკვირდებათ. ცეკვის დროს შეუძლებელია ფიქრობდე იმაზე, თუ სად დადგე, რომ ფეხი არ ჩაგივარდეს... ახლაც ნატკენი ფეხით ვცეკვავდი... იქნებ ამაზე უხერხულიცაა ლაპარაკი, მაგრამ ფაქტია, რომ არ არის ხის მასალა სცენის გასასწორებლად...

ჩვენ ბევრი ნიჭიერი მხატვარი გვყავს: წლების განმავლობაში დიდი თეატრის მთავარი მხატვარი ბატონი სოლომონ ვირსალაძე იყო. კიროვის სახელობის თეატრში მუშაობს მურაზ მურვანიძე. ჩვენს თეატრში კი დიდი პრობლემაა დეკორაციების გამოცვლა... თქვენ წარმოიდგინეთ, ორმოცი წლის წინათ დადგმული სპექტაკლები იგივე კოსტიუმებითა და დეკორაციით მიდის. დრო იცვლება, ყველაფერი ძველდება, მაყურებლები ხალისით უნდა მოდიოდნენ თეატრში, ბავშვებს უნდა ახარებდეთ სილამაზის ხილვა, ბალეტი არაჩვეულებრივი ხელოვნებაა: აქ არის მუსიკაც, პლასტიკაც, თამაშიც... გოგონებს უფრო უყვართ და იზიდავთ ბალეტი, ქართველი ბიჭები კი რატომღაც არავაჟკაცურ პროფესიად თვლიან. ამ დროს სულაც არ არის ასე — ისეთი ძალა უნდა ჰქონდეს ბიჭს, რომ გოგონა სცენაზე ხელით ატაროს და მეორეც — ბალეტი იმდენად ლამაზი და საინტერესოა, იმდენ რამეს ხედავ სცენარზე, რომ სტაჟიან მოცეკვავეს მთელი ცხოვრება არ ეყოფა ახალგაზრდობისათვის გამოცდილების გასაზიარებლად...

ახლა კი იმის შესახებ, რამდენად რეალურია თბილისში საერთაშორისო კონკურსის ჩატარება:

მე მჭიდრო კონტაქტები მაქვს უცხოეთთან და შესაძლებელია სპონსორების მოძებნა, მაგრამ ამას მაღალი დონის ორგანიზაცია სჭირდება. უამრავი დეტალია გასათვალისწინებელი, გარდა ხარჯებისა, ამას სჭირდება სპეციალისტების შერჩევაც, მე შემიძლია ბევრ მათგანს პირადად დაველაპარაკო და ჩამოვიყვანო თბილისში ისე, რომ მათ ჩვეული ჰონორარიც არ მოითხოვონ. სხვათა შორის, ამას წინათ ერთი ამერიკელი ქალი მელაპარაკა. მზად იყო ნიუ-იორკ სიტიდან ჩამოეყვანა ჯორჯ ბალანჩინის თეატრის 6 მოცეკვავე ქალი. მათ უარი განაცხადეს ჰონორარზე, რადგან იცოდნენ, რომ ბალანჩინის სამშობლოში ჩამოდიოდნენ. ისინი აღმერთებენ ბალანჩინს და ძალიან უყვართ თბილისი, მაგრამ მათი ჩამოსვლა ვერ მოხერხდა, რადგან ჩვენებმა მათთვის სამგზავრო ბილეთებიც კი ვერ შეიძინეს.

**— ქართველი მაყურებელი მოუთმენლად ელის ვახტანგ ჭაბუკიანის იუბილეს, რომელიც, ალბათ, ბალეტის დღესასწაული იქნება. თქვენ თუ აპირებთ მონაწილეობის მიღებას?**

— მე დიდი სიამოვნებით მივიღებდი ამ მოწვევას, მაგრამ, სამწუხაროდ საგასტროლო ტურნეში ვიქნები...

**— მკითხველს ყველაფერი აინტერესებს თქვენს შესახებ... როგორ ცხოვრობთ მოსკოვში?**

— ვცხოვრობ ერთოთახიან ბინაში მეუღლესთან ერთად. ვცხოვრობთ საკმაოდ მჭიდროდ, მაგრამ შეხმატკბილებულად. ძალიან ძნელია ერთოთახიან ბინაში ცხოვრება — სტუმრები, კორესპონდენტები, მაგრამ მალე ალბათ, რაღაც გამოჩნდება...

**— თუ გახსენდებათ თქვენი პირველი ინტერვიუ?**

— ჩემს შესახებ პირველი მასალა დაიბეჭდა 1980 წლის თებერვალში, მაშინ მე ვსწავლობდი მოსკოვში II კურსზე, იმ წელს ლენინგრადში ტარდებოდა საბჭოთა კავშირის ყველა ქორეოგრაფიული სასწავლებლის დათვალიერება-ჩვენება. თბილისის სკოლაც იყო ჩამოსული. მე მონაწილეობას ვიღებდი, როგორც მოსკოვის ქორეოგრაფიული სასწავლებლის სტუდენტი, ვცეკვავდი თანამედროვე ვარიაციას და კლასიკურ ვარიაციას „დონ-კიხოტიდან“. პირველი რეპორტაჟი გააკეთა გიორგი მაყაშვილმა, რომელიც „ზარია ვოსტოკაში“ დაიბეჭდა თავისი სურათით, მახსოვს იქ ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ ჩვენმა თანამემამულემ პატარა ნინო ანანიაშვილმა წარმატება მოიპოვა. ეს გაზეთი მამას აქვს შენახული, ეს იყო ჩემს შესახებ პირველი მასალა საქართველოს პრესაში.

**— ნინო რომელი დღესასწაული გიყვართ ყველაზე მეტად?**

— შობა და აღდგომა, შემდეგ ახალი წელი, ახალი წელი, რომ მოდის, იმედი მაქვს, რომ კიდევ რაღაცა ახალი იქნება.

**— ხშირად გიხდებათ საზღვარგარეთ ყოფნა. თუ გქონიათ ისეთი შემთხვევა, რომ არაფერი იცოდნენ საქართველოს შესახებ?**

— მეკითხებიან ხოლმე — რუსი არა ხარ? ვინა ხარ? მე ვცდილობ ავუხსნა, რომ ქართველი ვარ; ზოგჯერ თვითონ წერენ, რომ მე ვარ ქართველი, შავთვალა, ქართული ტემპერამენტი გამოსჭვივის ჩემს ცეკვაში და ასე შემდეგ... მოკლედ, თითქმის არც ერთი რეცენზია არ გამოდის ისე, რომ არ იყოს ნახსენები ჩემი ქართველობა... მაგრამ ფაქტია, რომ მე მაქვს გავლილი რუსული საბალეტო სკოლა და მადლობის მეტი არაფერი მაქვს სათქმელი ჩემი პედაგოგების მიმართ.

**— თქვენ მოსკოვში ცხოვრობთ, რა ინფორმაციას ეყრდნობით საქართველოს ეროვნული მოძრაობის შესახებ, რას უფრო უჯერებთ: საკავშირო პრესას და ტელევიზიას თუ უმეტესწილად პირად კონტაქტებს?**

— უფრო ზუსტ ინფორმაციას საქართველოდან, ქართულ ჟურნალ-გაზეთებიდან ვიღებ. საქართველოს ბედი ძალიან მაწუხებს. ამას, ალბათ, თქმაც არ უნდა... და შეძლებისდაგვარად ჰონორარებს სხვადასხვა ფონდებში ვრიცხავ...

**— თქვენ რომ კორესპონდენტი იყოთ, რას ჰკითხავდით ნინო ანანიაშვილს?**

— მე ვკითხავდი, ნინო, ცეკვა უფრო გიყვარს თუ ლაპარაკი?

**— დაბოლოს, თქვენი სამომავლო გეგმების შესახებ?**

— ჩემს პარტნიორთან, ალექსი ფადეევიჩთან ერთად მივემგზავრები პორტუგალიაში, სადაც პირველად იდგმება მინკუსის „დონ-კიხოტი“.

შემდეგ მივემგზავრები ბოსტონში, სადაც შედგება „გუდვინის“ საბჭოთა და ამერიკელი ქორეოგრაფების ერთობლივი დადგმა. შემდეგ კი დიდ თეატრთან ერთად მექნება ორთვენახევრიანი გასტროლები ამერიკის შეერთებულ შტატებში.

**ესაუბრა მაყვალა ზანგურაშვილი**
**ზურაბ ჭათუაშვილის ფოტო.**

# ფრესკების მესაიდუმლე

იგი ოთხმოცს გადაცილებულია. თეთრი, ქათქათა ჭაღარა აქვს; ხმა ოდნავ მკაცრი და პრეტენზიული; საუბრის მანერა — ნერვიული. ცხოვრებამ თავისი დაღი დაასვა მას...

ტატიანა შჩერბატოვა დაიბადა პეტერბურგში, თავადების ოჯახში. მშობლები პროფესიით მხატვრები იყვნენ. ოციანი წლების რეპრესიათა ტალღამ მათ ოჯახსაც გადაუარა. ამიტომ არ უყვარს ამ წლებზე საუბარი, როგორც მისი ყმაწვილქალობის უმტკივნეულეს ხანაზე. გასაგები მიზეზების გამო, მშობლების ნახატებიც აღარ არსებობენ. ახალგაზრდა ქალი იძულებული გახდა საცხოვრებლად თბილისს ჩამოსულიყო. ყველა გასაჭირთან ერთად აღმოჩნდა, რომ მამის გვარის ტარება კარგს არაფერს უქადდა და მახაც მეუღლის გვარი არჩია.

სწორედ ამ დროიდან იწყება ტატიანა შევიაკოვას ახალი ცხოვრება — ქართული კულტურის სამსახურში გალეული ნახევარი საუკუნე.

ორმოცდაათ წელზე მეტია, რაც მან, პროფესიით ხელოვნებათმცოდნემ, ქართული ფრესკების ასლების გადაღება დაიწყო, მუშაობდა ყველგან; ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, იქნებოდა ეს დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი თუ სვანეთი, აფხაზეთის, სამეგრელოს, ქართლისა თუ მესხეთის არქიტექტურული ძეგლები.

მარტოხელა ქალი ყოველგვარ ამინდში იდგა ხარაჩოზე და რუდუნებით გადაჰქონდა უნიკალური ფრესკები ქაღალდზე. ფრესკები, რომელთაგან დღეს, სამწუხაროდ, ზოგიერთი აღარ არსებობს და მათი აღდგენა მხოლოდ შევიაკოვას მიერ შექმნილი ასლების მიხედვით თუ მოხერხდა.

მასთან საუბრის დროს ერთი საოცრად გულდასაწყვეტი ამბავი გავიგე: თურმე, საქართველოში არავინ მუშაობს ასლების გადაღებაზე და არც არავითარი გარანტია არსებობს იმისა, რომ ოდესმე; ვინმე, ხელს მოჰკიდებს ამ რთულ საქმეს.

საფიქრებელია, რომ თვალსა და ხელს შუა არ გამოგვეცალოს ქართული მონუმენტური ფერწერის მრავალი ბრწყინვალე ნიმუში.

ჩემი ნათქვამი მკითხველს გადაჭარბებულად რომ არ მოეჩვენოს, მოვიყვან ამონაწერს ტატიანა შევიაკოვას ალბომის ანოტაციიდან „საქართველოს ადრეული შუასაუკუნეების მონუმენტური ფერწერა“, რომელიც 1983 წელს დასტამბა გამომცემლობა „ხელოვნებამ“. ანოტაციაში ნათქვამია: „ალბომი ეხება VII-IX საუკუნეების საქართველოს მონუმენტურ ფერწერას. მასალის უმეტესობა ქვეყნდება პირველად. ფრესკების ორიგინალები იმდენად ცუდადაა შემონახული, რომ მათი ფოტოგრაფირება შეუძლებელია. ისინი გადმოღებულია ადგილზევე ავტორის მიერ ხანგრძლივი შესწავლის შედეგად. ამავე დროს შენარჩუნებულია ფერი, ფაქტურა და სტილი ფრესკებისა. ასლთა დიდი ნაწილი დღეს ერთადერთ საბუთს წარმოადგენს, რადგანაც მათი ორიგინალები აღარ არსებობენ.“

...მის პატარა და მყუდრო სახლში ყველაფერს ოციანი წლების ელფერი გადაკრავს: ავეჯს, ჭურჭელს, სიყვითლეშეპარულ სურათებს, რომელთაგან ერთ-ერთზე საოცრად მოხდენილი გარეგნობის ახალგაზრდა ქალია გადაღებული. მასპინძელს მის ვინაობას ვეკითხები. მოხუცის ხმაში სადღაც იკარგება მკაცრი და პრეტენზიული ტონი და ფარული სინანული ისადგურებს. ეს მისი ახალგაზრდობის დროინდელი ფოტოა. ჩემს ქათინაურზე ხაზგასმული კეკლუცობით მპასუხობს: არა, ლამაზი არასოდეს ვყოფილვარო.

საკუთარი თავისთვის მართლაც არ ეცალა. განსაკუთრებით რთული დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსზე მუშაობა იყო. რამდენჯერმე ხარაჩოც გამტყდარა და სასწაულებრივად გადარჩენილა სიკვდილს. თითქმის ყოველთვის მარტო მუშაობდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ.

გული სწყდებოდა, რომ ჯანმრთელობა და ასაკი ხელს უშლიან ექსპედიციაში მონაწილეობისათვის. მის დაწყებულ საქმეს კი საიმედო გამგრძელებელი ესაჭიროება.

არ გვინდა, ცუდი წინასწარმეტყველება გამოგვივიდეს, მაგრამ ომის დროს დანგრეული სპასკონერედიცას მონასტერს თავის დროზე ისე უყურადღებოდ მოექცნენ, რომ დღეს მხოლოდ ტატიანა შევიაკოვას მასალების მიხედვით შეიძლება შეგვექმნას წარმოდგენა XVIII საუკუნის რუსული არქიტექტურის ამ ბრწყინვალე ნიმუშზე.

ბევრ ჩვენს ძეგლს საფრთხე ემუქრება ბუნებრივი პირობების გაუარესების თუ ჩვენივე დაუდევრობის გამო.

ფრესკები კი, ჩვენ წინაპართა ნაფიქრ-ნააზრევის, მათი რწმენის და იმედის უტყვი სიმბოლოები, შველას ელიან.

ქალბატონმა ტატიანამ უკვე მოამზადა მასალები მეორე წიგნისათვის, რომლის სათაურია „V-XIV საუკუნეების ქართული მონუმენტური ფერწერის ორნამენტები“. წიგნში ორნამენტული ფერწერის თითქმის ყველა ნიმუში შევა, რომელიც კი ოოემდე შემონახულია საქართველოს ტერიტორიაზე. პირველი გამოცემის მსგავსად, წიგნს თან დართული ექნება მდიდარი, ფერადი ილუსტრაციები. ეს იქნება ერთგვარი შეჯამება ბოლო წლების მანძილზე მოწყობილი ექსპედიციებისა.

...ჩუმი და უპრეტენზიოა ქალბატონი ტატიანა საკუთარ საქმიანობაზე საუბრისას, მაგრამ კინო დოკუმენტალისტებს მაინც „შეუმჩნევიათ“. მასზე შექმნილია ორი ფილმი. ერთ-ერთი მათგანის, თ. ხაჩიძის „მონოლოგის“ გადაღებისას გავეცანი ამ წერილის გმირს, რომელსაც არაფრით არ უნდოდა, რომ ავტორებს თუნდაც ერთი ეპითეტი ეხმარათ მისი საქმიანობის, პირადად მის მიმართაც კი.

მართლაც რომელი ეპითეტი დაიტევს იმ შრომას, რუდუნებასა და სიყვარულს, რომლითაც ტატიანა შევიაკოვა ნახევარი საუკუნე ემსახურა ქართულ ხელოვნებას.

**თამარ ჩხატარაშვილი**

# წერილი რედაქციას

ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება 1989 წლის 18 თებერვალს ქ. თბილისში ლენინის ქუჩაზე და მშვიდობის გამზირზე ჩატარებულ არასანქციონირებულ მიტინგთან დაკავშირებით.

გთხოვთ, თქვენი გაზეთის მეშვეობით გამოაქვეყნოთ ცნობა აღნიშნულის შესახებ და ვთხოვოთ მოქალაქეებს მოგვაწოდონ ინფორმაციები, რაც მათთვის არის ცნობილი მიტინგის მსვლელობისა და მისი დარბევის შესახებ.

**პაატა ხვანიძე,**
**საბურთალოს რაიონის პროკურატურის გამომძიებელი**

უშუ-ს ახლადდაარსებული სკოლა (შაო-ლინ-ჩუან-ფა) აცხადებს, რომ 1990 წლის 8 მარტს, კიროვის პარკის კალათბურთის კომპლექსში, დღის 12 საათზე ჩამოყალიბდება:

1. უშუ-ს შემსწავლელი ჯგუფები (სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებში);
2. უშუ-ს საქართველოს ფედერაციის სარეგისტრაციო-საკონსულტაციო ცენტრი.

**საქართველოს უშუ-ს ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტი.**







# მშობლიური ბუნების დიდი სიყვარულით

ამირან არაბულს პრესაში გამოქვეყნებული წერილებით კარგად იცნობს მკითხველი. ამჯერად იგი კიდევ ერთხელ თავისი ახალი ფოტონამუშევრებით წარსდგება თქვენს წინაშე. ამირანის ამ გატაცებას მშობლიური ბუნებისადმი დიდი სიყვარული ასაზრდოებს. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობისას შექმნილ მის ნამუშევართა უმრავლესობის მთავარ თემად, ალბათ, სწორედ ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიული ურთიერთკავშირი შეიძლება ჩაითვალოს. ამირანის ფოტოები კარგად გადმოგვცემენ ადამიანის სულიერ განწყობილებას, მათ ტკივილსა თუ სიხარულს. მთიელი კაცის თვალითაა დანახული და ნაგრძნობი მიტოვებული სოფლების სევდა თუ მთების წუხილი.



# კომპრომისული შედეგი

კალათბურთში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მორიგ მატჩში თბილისის „დინამომ“ უმასპინძლა კაუნასის „ჟალგირისს“. მეტოქეები მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს და მეგობრულად გაიყვეს ქულები. მასპინძლებს „ჟალგირისთან“ ორივე მატჩის მოგების არავითარი გარანტია არ ჰქონდათ და ასეთი კომპრომისული შედეგი ხელს აძლევდათ.

პირველ მატჩში კაუნასის „ჟალგირისის“ უპირატესობა აშკარა იყო. „ჟალგირისი“ პირველი წუთებიდანვე დაეუფლა უპირატესობას და მთელი მატჩის განმავლობაში ინიციატივა ხელიდან არ გაუშვია. მასპინძლები უფრო დიდი ანგარიშით დამარცხებისაგან ანდრეი ტიუბინის ჩინებულმა თამაშმა (33 ქულა) იხსნა. კაუნასელთა უპირატესობა თამაშის კლასში არავითარ ეჭვს არ იწვევდა და მათი გამარჯვება ლოგიკური იყო — 102:88. თუ სტუმრები რაიმე კომპრომისზე არ წავიდოდნენ, განმეორებით მატჩში რევანშზე ფიქრი ძალზე ძნელი იქნებოდა. მართლაც განმეორებით მატჩში „დინამომ“ შესძლო „ლამაზი“ რევანშის აღება, რაც, ჩვენი ვარაუდით, იმით აიხსნება, რომ მეორე მატჩში „ჟალგირისი“ ძალზედ ინერტულად, ულიმღამოდ, უფერულად გამოიყურებოდა. გუნდი რატომღაც ძალზე მშვიდობის მოყვარულად იყო განწყობილი და აშკარად ჩანდა მატჩის შედეგისადმი გულგრილი დამოკიდებულე... ალბათ, არსებობს გარკვეული საფუძველი ვთქვათ, რომ ეს მატჩი „დინამომ“ კი არ მოიგო, არამედ „ჟალგირისმა“ წააგო — 99:80. „დინამოს“ სასარგებლოდ. სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ და ვაღიაროთ, რომ „დინამო“ დღეს სამამულო კალათბურთის აუტსაიდერია. აი, სადამდე მივიყვანეთ საქმე. IX ადგილი სახვეწი გვაქვს. ყველაფერი ეს არის 70-80-იან წლებში დაშვებული შეცდომების ლოგიკური შედეგი, რასაც მწვრთნელთა ხშირ ცვლას ვერ დავაბრალებთ, „დინამოს“ ხელმძღვანელობა ბოლო წლებში უცვლელი იყო. ქართული კალათბურთის კრიზისი კანონზომიერი გზით ვითარდება.

**მერაბ კალანდაძე**

# დიდოსტატი



ჯერ კიდევ 1963 წელს გამოცემულ წიგნში „პატარა ბურთის ოსტატები“ ავტორი ზურაბ ჯვებენავა შენიშნავდა: „ამ რამდენიმე ხნის წინათ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტულმა ჟურნალმა გამოაქვეყნა მსოფლიოს იდეალური ნაკრების სია, რომელიც ევროპული ხელბურთის ოთხმა სპეციალისტმა შეადგინა ცალ-ცალკე. ოთხივე ანკეტაში უცვლელი იყო მხოლოდ ერთი სპორტსმენის — ჯემალ ცერცვაძის სახელი“.

ცერცვაძის რანგის ხელბურთელებს ასები და ათასები მოჰყავთ ტრიბუნებზე, არიან სპორტული ხელოვნების განსახიერებანი და სიმხნევის წყაროს წარმოადგენენ.

მახსოვს, უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტები წავედით „ქარიშხალას“ რომელიღაც მატჩზე დასასწრებად. ეს ის ხანა იყო, როდესაც ძველი „დიდი გუნდიდან“ თითო-ოროლა ვარსკვლავი, თუმცა ხანდაზმული, ათასში ერთხელ თუ გამოჩნდებოდა მოედანზე.

მაყურებელი, განსაკუთრებით მეორე ტაიმის დასაწყისიდან, სულ უფრო ხშირად სკანდირებდა — ცერცვაძე! ცერცვაძე! ცერცვაძე!

სადღაც შეხვედრის მიწურულს გამოჩნდა იგი ტაშის გრიალში. მძიმედ დააბიჯებდა, ეტყობა, ტრავმირებული იყო.

მიიღებდა თუ არა ბურთს, წამსვე პარტნიორს აწვდიდა. თუ არ ვცდები, შედეგი საყაიმო იყო. და მაშინ, როდესაც წამებიღა იყო დარჩენილი შეხვედრის დასასრულამდე, ბურთი მიაწოდეს ცერცვაძეს. მან იატაკზე დაჰკრა ბურთი, მერე ორივე ხელით ჩაბღუჯა და მოულოდნელად, თითქოს ფრთები შეესხაო, რაღაც წარმოუდგენელი დრიბლინგით გვერდი აუარა ორ წყება ჯებირად აღმართულ მეტოქე გუნდის მოთამაშეებს და ისე, რომ კარისკენ არც გაუხედავს, ტყორცნა.

უფრო სწორი ვიქნები თუ ვიტყვი, რომ ტყორცნის მომენტი არც მინახავს.

მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე, როცა, როგორც ერთი კაცი, ფეხზე ამდგარი რამდენიმე ათასი აღტაცებული გულშემატკივარი, ტაშით აჯილდოებდა სპორტსმენს...

ჯემალ ცერცვაძე 50 წლის გამხდარა! ეს პატარა წერილიც ამიტომ დაიწერა.

მინდა, მადლობა ვუთხრა მას იმ წამიერი, მაგრამ დაუვიწყარი სიამოვნებისათვის, რაც ამ ოციოდე წლის წინათ განვიცადეთ მე და ჩემმა მეგობრებმა სპორტის სასახლის ხმაურიან თაღებქვეშ.

**გრიგოლ რუხაძე**

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 13 მარტს.

**რედაქტორის მოადგილე**
**გიგლა გოგეჩია**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13

უე 00180